საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№137 (12 207)

13 ივნისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

თურმე, რაჭიმ არ ითამაშა კახა კალაძემ ლისაბონში

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა უკრაინულ ბომონდში მოილხინა

4



სანდრო იაშვილი ოდენსეში?

2

კამერუნელი დინამოში

ტრანსფერი გერმანიაში გადაწყდება

გუშინ თბილისის "დინამოს" სანვრთნელ ბაზაზე კამერუნელი ფორვარდი, "უნიონ დუალას" მოთამაშე **რაიმონ ვუკუე** გამოჩნდა.

"23 წლის რაიმონ ვუკუე "დინამოში" შეუდგება ვარჯიშს. ის გუნდს გერმანულ შეკრებაზეც გაჰყვება, სადაც "დინამოს" ხელმძღვანელობა დააკვირდება და იქვე გადაწყვეტს, დაიტოვოს თუ არა", - გვითხრა "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ**.

"დინამო" შვებულების შემდეგ, დღეს განახლებს წვრთნას. **დუშან უჰრინი** ხანმოკლე შვებულებიდან დღეს სალამოს დაბრუნდება. სავარაუდოდ, "დინამოს" თბილისსა და უცხოურ შეკრებაზე კიდევ შეუერთდებიან ლეგიონერები.

დავით ცაბაძე

ქვედა რიგში მარცხნიდან პირველი რაიმონ ვუკუე

ნაკრები ადრე უკეთ თამაშობდა

ვირესმა, რა სჭირდათ ქართველებს, რისი ეშინოდათო?

ინტერვიუ გია გურულთან

2

ივნისი-ივლისში ლელო გამოვა 12 გვერდზე, გარდა ორშაბათის ნომრისა, რომელიც კვლავ 16-გვერდიანი იქნება

გასხვენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

იაშვილს რამდენიმე უცხოური ვარიანტი აქვს

დინამო

იაშვილს ოდესე იწვევს

აკობია წავიდა, ბაბუნაშვილი კრივბასს მოეწონა

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის **სანდრო იაშვილის** მომავალი ნავსაყუდელის შესახებ საუბარი არ წყდება. ფეხბურთელის მომავალ კლუბად ხან რომელს ასახელებენ და ხან - რომელს. გუშინ შევიტყვეთ იმ კლუბის სახელი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული იაშვილის გადაბირებით და უფრო მეტად აქტიურობს, ვიდრე ავსტრიული "რაპიდი" და გერმანული "ფრაიბურგი". ეს დანიური "ოდენსეა". ამასთანავე, ფეხბურთელს კიდევ ერთი ვარიანტი ჰოლანდიაში აქვს, კლუბი ჩვენთვის უცნობია.

თუმცაღა, სანდრო მოსამზადებელ ეტაპს თბილისის "დინამოსთან" ერთად გაივლის, რადგან ევროპაში გუნდები ვარჯიშებს 21 ივნისის შემდეგ ანახლებენ.

"დინამოს" თავს მიმდინარე სიახლეები ამით როდი მთავრდება. კლუბი **ლევან აკობიას** სურვილს დათანხმდა და მზადაა, მოთამაშე გაუშვას. ფეხბურთელისა და კლუბის ხელმძღვანელობის მოლაპარაკება ორივესთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

"ჩემთვის "დინამო" მართლა იყო საოცნებო გუნდი და გული მწყდება, რომ მისი დატოვება მიხდება. თუმცა სხვანაირად აღარ შემეძლო. ძირითადში ვეღარ ვხვდებოდი, თამაშიც თითქმის აღარ მიწევდა და ასე ჯობდა. სხვათა შორის, კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა დარჩენილი, მაგრამ ბუბა ტყავაძემ გამიგო და მიზერულ საფასურად, მზადაა გამიშვას. ფაქტობრივად, ხელფეხი გამიხსნა და ახლა გუნდს ვეძებ", - გვითხრა აკობიამ.

როგორც შევიტყვეთ, საკმაოდ ბევრი გუნდი დაინტერესდა დინამოელით:

"ზუგდიდის "მგლებიდან" დამიკავშირდნენ და გადასვლა შემომთავაზეს. ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდში თამაში მართლაც მინდა. თან, ისეთ სტადიონს აშენებენ, იქ, სავსე ტრიბუნების წინაშე გამოსვლა ერთი სიამოვნება იქნება. ხალხი იმიტომ დადის, რომ მშენებლობა უხარია და აშენებულს ხომ უსიტყვოდ შეავსებენ? თუმცა ჯერ საბოლოო პასუხს ვერ ვამბობ. არის ისეთი მინვევები, რომლებზე უარის თქმაც ძალიან მიჭირს. უახლოეს პერიოდში ზუსტად მეცოდინება, სად ვითამაშებ".

კიდევ ერთ მოთამაშეს ელევა "დინამო" - ნახევარმცველ **შოთა ბაბუნაშვილს**. მან გუნდში დამკვიდრება ვერ მოახერხა და ბოლო დროს იჯარით ბოლნისის "სიონში" თამაშობდა. ახლა ბაბუნაშვილი უკრაინაშია და კრივოი როგის "კრივბასში" ისინჯება. როგორც შევიტყვეთ, შოთამ საკონტროლო მატჩი ჩაატარა და **ოლეგ ტარანს** თავიც მოაწონა. ეს "კრივბასის" ქართველმა თავდამსხმელმა **ვასილ გიგიაძემ** გვითხრა: "შოთა მართლა ძალიან მოეწონა ტარანს, მან საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა, რასაც საქართველოდან ჩასულისგან არ ელოდნენ. თუმცა კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ეს უკვე "კრივბასისა" და "დინამოს" შეთანხმებაზეა დამოკიდებული".

მერაბ მამულაშვილი

თბილისის "ვიტ ჯორჯია" გასულ სეზონში ერთადერთი რენტაბელური ქართული კლუბი იყო, ყოველ შემთხვევაში ასე გვითხრა ვიტჯორჯიელთა ხელმძღვანელობამ. "ვიტ ჯორჯიას" მკაცრად განსაზღვრული საკლუბო პოლიტიკა აქვს. მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებს იმატებს, მეტწილად საკუთარ კადრებს ეყრდნობა და მერე წარმატებით საქმიანობს სატრანსფერო ბაზარზე. ბოლო ერთ წელიწადში "ვიტ ჯორჯიამ" გაასხვისა ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, გადაწყვეტილია, რომ რამდენიმე დღეში ნიკა გელაშვილი ბელგიურ "ბრიუგეში" წავა...

საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ვიტ ჯორჯიას" მალე კიდევ ერთი ფეხბურთელი დატოვებს - 22 წლის ცენტრალური მცველი ლექსო კვახაძე. 2006-07 წლების სეზონში ის ერთ-ერთი გამორჩეული მცველი იყო საქართველოს ჩემპიონატში და შეიძლება ითქვას, უკვე მომწიფებულია, უცხოეთშიც რომ მოსინჯოს ძალა...

ინტერვიუ ლექსო კვახაძესთან

მცხეთელმა მცხეთელებს ვერაფერი გაუგო

- შევიტყვეთ, რომ უცხოეთში აპირებ წასვლას - რომელი ქვეყნისკენ გაქვს გეზი?

- მართლაც არის ლაპარაკი ჩემს წასვლაზე, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. საქართველოდან წასვლა მსურს და სავსებით შესაძლებელია, დამდეგი სეზონიდან "ვიტ ჯორჯიაში" აღარ ვიყო.

- კარგი სეზონი გქონდა, თუმცა გუნდმა მთლად წარმატებით ვერ ჩაამთავრა სეზონი - ეროვნულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა...

- წინა სეზონისთვის "ვიტ ჯორჯიიდან" ოთხი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა - დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი, იმედაშვილი და გელაშვილი. ახალი ფეხბურთელები უცბად ვერ შეეწყვნენ ძირითად შემადგენლობას, ამას დროს სჭირდება, მომავალ სეზონში "ვიტ ჯორჯია" გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება.

- ქართველი ფეხბურთელები სამშობლოდან ძირითადად საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების საშუალო გუნდებში მიდიან, სადაც მნიშვნელოვანი წინსვლა არ აქვთ - შენც ასეთი ვარიანტი გაქვს?

- თუ რა ვარიანტი მაქვს, ამაზე საუბარი ჯერ არ მსურს. ზოგადად კი, უკრაინასა თუ რუსეთში უთამაშებლობას, ჯობია ისევ აქ იყო და სათამაშო პრაქტიკა გქონდეს, ან ევროპაში წახვიდე, თუმცა შესაძლოა ევროპა სხვა რამემ გადაწონოს. მაგალითად, უკრაინაში საქართველოსთან შედარებით სულ სხვა დონეა და ისეთი პირობებია, რომ უარის თქმა ძნელია.

- სულ სხვა სტანდარტებია ევროპაშიც. იქ ისეთი მცველი სჭირდებათ, შეტევაში წასვლაც რომ შეუძლია და მაღალ ბურთებზეც რიგიანად რომ ირჯება. საქართველოში კი მცველს საამისო პრაქტიკა ნაკლებად აქვს...

- - ცენტრალური მცველი ვარ და ჩემთვის შეტევაში წასვლა რთულია. გასულ სეზონში ორი გოლი გავიტანე - "კახეთთან" და "ამერთან". რამდენიმე მატჩი მითამაშია ევროტურნირებზე და კარგად ვიცი, რომ ევროპაში სულ სხვა სტანდარტებია, სულ სხვა სისწრაფეებია, ჩვენთან კი ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოედნები ისეთი უხარისხოა, სწრაფი თამაში ძალიან ძნელია.

- გიორგი ონიანის გარდა საქართველოში ყველა მცველს უჭირს დინამოელი სანდრო იაშვილის მეურვეობა. პირველ წრეში "დინამოს" 2:1 მოუგეთ, თუმცა იაშვილმა თითქმის ყველა მაღალი ბურთი მოგიგოთ "ვიტ ჯორჯიის" მცველებს...

- იაშვილი თავით ისე კარგად თამაშობს, ათიდან ათ ბურთს ნამდვილად ვერ მოუგებ. მას ბურთზე ახტომა წამით უნდა დაასწრო, თორემ სხვანაირად ვერ აჯობებ. იმ შეხვედრაში კი იაშვილი ხშირად განაპირა მცველებთან იკავებდა პოზიციას და არა ცენტრში, ის ყოველთვის ცდილობს ამას, რადგან ფლანგელ მცველთან მაღალი ბურთის მოგების უფრო მეტი შანსი აქვს.

- "ვიტ ჯორჯია" მეხუთე ადგილზე რომ გავიდა, ამას მხოლოდ გუნდიდან ნამყვანი ფეხბურთელების წასლას აბრალებ?

- ძალიან ხშირად არ გვიმართლებდა, რამდენიმე მოსაგები თამაში ვერ მოვიგეთ. ბევრ საგოლე მომენტს ვქმნიდით, მაგრამ საგოლე დარტყმის შესრულებაში მოვიკოჭლებდით. თუნდაც მეორე წრეში "დინამოსთან" მატჩი ავიღოთ - უამრავი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ 0:1 წავაგეთ. "ვიტ ჯორჯიას" ახლა ყველაზე უფრო გოლის შემგდები ფორვარდი ჭირდება.

- დამდეგ სეზონში კლუბში რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

- "ვიტ ჯორჯია", ალბათ, მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაიმატებს, მიზანი კი სამეულში მოხვედრა იქნება. აქ საკმაოდ კარგი პირობებია, წამყვან ქართულ გუნდებს ამით მნიშვნელოვნად არ ჩამორჩება, რა თქმა უნდა, არც მე ვარ უკმაყოფილო ვიტჯორჯიული პირობებით.

- მაინც როდის გადაწყდება, წახვალ თუ არა და - სად?

- თვის ბოლოს ყველაფერი გაირკვევა.

- ერთიც უნდა გვითხრა - მცხეთელი ხარ, "ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს მცხეთაში თამაშობს, თუმც "არმაზზე" ძალიან ცოტა მაყურებელი დადის - როგორ ფიქრობ, რატომ არ ინტერესდებიან ფეხბურთით მცხეთაში?

- არ ვიცი, ეს რისი ბრალია. ჩვენ თამაშებზე მცხეთაში თბილისელები უფრო დადიან, ვიდრე მცხეთელები, 10-15 მცხეთელი თუ მოვა ჩვენ მატჩზე. მცხეთელებს სხვა რამის კეთება ურჩევნიათ ფეხბურთზე მოსვლას.

დავით თავართქილაძე

ბურთით ლექსო კვახაძე

პროფლიგა ევროლიგაში მიიწვიეს

წინა კვირას საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ არველაძე** ბერლინში, ბუნდესლიგის მიწვევით ევროპის პროფესიულ ლიგათა თავყრილობაზე რომ მიიწვიეს, ადრეც გაუწყეთ.

ახლა კი შევიტყვეთ, რომ ქართულ პროფლიგის ევროპროფლიგაში განევრიანებას სთავაზობენ. ევროპროფლიგაში 19 ლიგაა განევრიანებული, მათ შორის ყოფილი სოცბანაკის ქვეყნების ლიგებიც. მაგალითად, ევროლიგაში ორი რუსული ლიგაა განევრიანებული - პროფლიგა და პრემიერლიგა.

ევროპროფლიგის ნევრობა ოთხ კატეგორიადაა ყოფილი. მეოთხე კატეგორიის ნევრობაზე წლიური სანევრო 28 000 ევროა, პირველ კატეგორიაზე - 80 000. შესაძლებელია ასოცირებული ნევრობაც - ასეთ შემთხვევაში ლიგამ წლიურად 10 000 ევრო უნდა გადაიხადოს.

გადაწყვეტს თუ არა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ევროლიგაში განევრიანებას, ჯერ უცნობია.

მესამე ბოლნისელი ამერში

თბილისი "ამერი" დღეიდან ბორჯომში გააგრძელებს სეზონისწინა სამზადისს და კიდევ ერთ ახალ ფეხბურთელს იახლებს.

"ამერში" უკვე გადავიდნენ **კობა შალამბერიძე** და **არჩილ ალავიძე**, გუნდთან ვარჯიშობენ **რევაზ გოცირიძე** და **ბაჩანა ცხადაძე**, რომელთა ამერული ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

დღეს კი "ამერში" 22 წლის მცველი **მიხეილ კობაური** მივა, ვინც ბოლოს ბოლნისის "სიონში" თამაშობდა და ახლა თავისუფალი აგენტია. მისი "ამერში" ჩარიცხვა სავსებით რეალურია. ალავიძისა და ცხადაძის შემდეგ, ის მესამე ექსსიონელია, ნლეულს "ამერს" რომ მიაშურა.

დავით თავართქილაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ვეტერანთა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოსტატობა და ბალეტის თეატრში, მართვის საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ღონისძიება ეამოვლინდებიან 11 ნომინაციაში. 2 მსაჯარა: ნომინაციის მიხედვით დასაჯილდოებლის სიუჟეტები ლეგენდარი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება ეკიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 წუთზე. ბილეთის ფასი: პარტერი-10 ლარი, ბალკონი-5 ლარი. საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ.: +995-32-912671; +995-32-917126. ფოტო-ს პრეზენტაციისა

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით ჯანაშიასთან

გამოცდილი ფეხბურთელი და ახალგაზდა მწვრთნელი

35 წლის დავით ჯანაშია გასულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამოცდილი და უხუცესი ფეხბურთელი გახლდათ. კარიერის განმავლობაში დათოს არაერთ კლუბში უასპარეზია, თუმცა მან სახელი ქუთაისის "ტორპედოში" თამაშით გაითქვა. ქუთაისურ გუნდთან ერთად ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ის 100-იანთა კლუბის ერთ- ერთი პირველი ნევრია, საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია და ეროვნული გუნდის მაისურით 4 გოლი აქვს გატანილი.

საფეხბურთო კარიერა წლეულს "ტორპედოში" დაამთავრა და სამწვრთნელო მოღვაწეობაც რიონისპირელთა მთავარი მწვრთნელის რანგში დაიწყო. ისე მოხდა, რომ ერთ დღეს ფეხბურთელი იყო, მეორე დღეს კი სამწვრთნელო შტაბში მოგვევლინა.

- როგორც ვიცით, წლეულს კარიერის დასრულებას არ ფიქრობდი. ტრავმა არ გქონდა და იმ მატჩების მიხედვით, რომელიც მეორე წრეში "ტორპედოში" ჩაატარე, საკმაოდ კარგ ფორმაშიც იყავი. რა იყო ფეხბურთიდან წასვლის მიზეზი?

- ყოველთვის ხომ ვერ ვითამაშებდი, როდესმე ხომ უნდა დამენებებინა თავი? თან გუნდის ხელმძღვანელობამ მწვრთნელად მუშაობა შემომთავაზა. თავიდან მთავარ მწვრთნელობაზე არ იყო საუბარი, თუმცა მაინც კარგი წინადადება გახლდათ. ადრე ჩემი ოცნება ქუთაისის "ტორპედოში" თამაში იყო. როცა ფეხბურთს ბოლომდე მიჰყვები, შემდეგი ეტაპი მწვრთნელობაა. ამის თაობაზე ადრეც ვფიქრობდი და "ტორპედოს" ხელმძღვანელობამ წინადადება რომ შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი. რადგან მწვრთნელობას მოვკიდე ხელი, ამ საქმეს ბოლომდე უნდა გავყვე. ახლა ლიცენზიის აღებაზე უნდა ვიზრუნო, თორემ ისე უმაღლეს ლიგაში მუშაობის უფლება არ მექნება.

- მომავალ სეზონში კვლავ ტორპედოში იმუშავებთ?

- "ტორპედოს" ბოლო ხუთ მატჩში ვუხელმძღვანელე. დღესდღეობითაც გუნდის მთავარ მწვრთნელად ვითვლები და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ველოდებით, ვინ მოვა გუნდის მეპატრონედ. ამის შემდეგ გადაწყდება დამტოვებენ თუ არა მთავარ მწვრთნელად. ჯერჯერობით ყველაფერი გასარკვევია.

- როგორც ვიცით, "ტორპედო" ახალი სპონსორის მოლოდინშია...

- საკითხი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. ქალაქის ხელმძღვანელობიდან საუბარია, რომ შესაძლოა "ტორპედო" ბიზნესმენმა ბადრი კაკაბაძემ დააფინანსოს. დანარჩენი, რა და როგორ იქნება ვერაფერს გეტყვით. ვისაც კი ქუთაისურ გუნდზე გული შესტკივა, ყველას დიდი სურვილია, რომ "ტორპედოში" კარგი სპონსორი მოვიდეს და გუნდი ფეხზე დადგეს.

- დავით, ახლა შენი საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები გავიხსენოთ.

- საუკეთესო წლები ქუთაისის "ტორპედოს" უკავშირდება. ამ გუნდში 1988 წლიდან ვთამაშობდი. სსრკ-ის პირველ ლიგაში 16 წლის ასაკში 4 შეხვედრა ჩავატარე. შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატზე გადავერთვეთ. 2 წელი რუსეთის უმაღლესი ლიგის "უემჩუინაში" ვითამაშე. "ტორპედოში" დაბრუნების შემდეგ ორჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. მოკლედ 1990- 2001 წლები ჩემს კარიერაში გამორჩეული პერიოდი იყო.

- არაერთ მწვრთნელთან გიმუშავია და მათგან ვის გამოარჩევდი?

- ბევრი კარგი მწვრთნელი იყო. თუნდაც გიგა ნორაკიძე, რეზო ბურკაძე, რომელმაც "ტორპედოში" თამაში დამაწყებინა. ყველა მათგანისგან ვისწავლე ბევრი რამ, მაგრამ არავისთვის საწყენი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დავით ყიფიანი ყველასაგან გამორჩეული იყო. ის გახლდათ დიდი პიროვნება და დიდი პროფესიონალი. ყველანაირად ჩამოყალიბებული ადამიანი იყო. მისი დონის სპეციალისტი საქართველოში ახლაც არ მეგულება.

- საქართველოს ნაკრების ნევრი იყავი. იმდროინდელ და დღევანდელ ნაკრებებს როგორ შეადარებდი?

- ეროვნულ გუნდში 11 მატჩი ჩავატარე და 4 გოლი გავიტანე. მაშინ ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელი იყო. დღევანდელი გუნდში კი უმეტესობა ახალგაზრდაა, ნაკრები ჩამოყალიბების პროცესშია. სამწუხაროდ, ახლებს შორის, ჯამარაულის, ქინქლაძის, ნემსაძის და არველაძის დონის ფეხბურთელები არ ჩანან, თუმცა სწორად მუშაობის შემთხვევაში, წარმატებების მიღწევა შეიძლება. ჩვენს ნაკრებს ტოპმიოლერის ხელში ოპტიმალური შემადგენლობით ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია და ჯერ კიდევ რთულია ამ გუნდის შესაძლებლობებზე საუბარი.

- გასულ სეზონში ფეხბურთელიც იყავით და მწვრთნელობაც მოსინჯეთ, თქვენი დაკვირვებით ეროვნული ჩემპიონატის დონე თუ იზრდება?

- შეიძლება არაპოპულარული მოსაზრება გამოვთქვა, მაგრამ ჩემი აზრით ჩემპიონატის დონე არ მატულობს, პირიქით, უკან- უკან მიდის. უბრალოდ, ყველაფერი უკეთაა ორგანიზებული და გაფორმებული, თორემ თამაშების ხარისხი არ გაუმჯობესებულა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ტორპედო ახალი სპონსორის მოლოდინშია

გია გურული

ინტერვიუ გია გურულთან

ნაკრების ფეხბურთელები ადრე უკეთ თამაშობდნენ

რით გააკვირვა საქართველოს ნაკრებმა ალენ ჟირესი?

საფრანგეთი-საქართველოს 6 ივნისის მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა საინტერესოა რა რეზონანსი მოჰყვა ფრანგულ საფეხბურთო წრეებში ოსერულ მატჩს. რა აზრისა არიან ამ თამაშზე ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელები ალენ ჟირესი და გია გურული. ამავე დროს საინტერესოა კიდევ რომელ ლეგიონერებს აგზავნის თბილისში ფიფას ლიცენზირებული აგენტი. ამ და სხვას საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ საფრანგეთში გია გურულს შევეხმიანეთ...

- საქართველოსთან მატჩს ფრანგულ საფეხბურთო წრეებში რაიმე დიდი და გამორჩეული რეზონანსი ნამდვილად არ მოჰყოლია. ყველა ელოდა, რომ 2 და 6 ივნისის მატჩებში რაიმონ დომენეკის გუნდი 6 ქულას აიღებდა. ამ მხრივ არც არაფერი შეცვლილა და აზრიც ერთია – საფრანგეთის ნაკრებმა პროგრამა მინიმუმი შეასრულა, 6 ქულა აიღო და ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

- კი, მაგრამ ზოგი თვლის, რომ ჩვენმა ნაკრებმა ფრანგებთან ოსერში უკეთ ითამაშა, ვიდრე შარშან 2 სექტემბერს თბილისში. ამაზე თუ ითქვა რამე?

- არა, აქ ასე არ ფიქრობენ. თუ დამიჯერებთ აქაურთა აზრი პირიქითაა. ოსერში ნათამაშები მატჩის მიხედვით საფრანგეთში ყველას ერთი რამ აკვირვებს... რატომ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა ოსერში 9 მცველით.

- ტოპმიოლერმა დაცვითი ტაქტიკა აირჩია, რადგან ეროვნული ნაკრების დიდი დანაკლისი ჰქონდა და ფრანგებთან ეს უფრო მომგებიანი იყო...

- ტაქტიკა-სტრატეგიას გუნდის მთავარი მწვრთნელი არსებული კონტინგენტიდან გამომდინარე წყვეტს და რადგან ტოპმიოლერმა დაცვითი ვარიანტი აირჩია, ეს თავად მისი გადასაწყვეტი იყო და ვერაფერს გეტყვით.

- თავად რა აზრისა ხარ ოსერის მატჩზე?

- მართალი გითხრათ, ჩემგან ცოტა ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი. ის ფეხბურთელები, რომელთაც ოსერშიც ითამაშეს და ჩვენს - ჩემი და ალენ ჟირესის მწვრთნელობის - დროსაც იყვნენ საქართველოს ნაკრებში, ფრანგთა წინააღმდეგ, სუსტად გამოიყურებოდნენ.

- ვის გულისხმობ იქნებ დააკონკრეტო...

- დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებდი. ვისაც ოსერის მატჩი ახსოვს, ეს ფეხბურთელებიც კარგად ემახსოვრება.

- საინტერესოა, ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი ალენ ჟირესი რა აზრისაა ჩვენს ახლანდელ ნაკრებზე?

- ალენ ჟირესთან ახლაც ხშირი კონტაქტი მაქვს. ის ახლა გაბონშია, მაგრამ 6 ივნისის მატჩი ნახა და მას მერე სატელეფონო საუბარიც გვქონდა. ჟირესმა ერთი საგულისხმო რა თქვა – რა სჭირდათ ქართველებს, ოსერში ისე თამაშობდნენ, თითქოსდა ფრანგების შიში ჰქონდათ. ეს აშკარად იგრძნობოდა. არა და საფრანგეთის ნაკრებმა 6 ივნისს ერთ-ერთი სუსტი თამაში ჩაატარაო.

- თავის დროზე, როცა ალენ ჟირესს საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტის დატოვება მოუწია, გარკვეულ კომპენსაციას ითხოვდა. რამდენადაც ვიცი, ჟირესმა თანხა მიიღო კიდეც...

- დიახ, ალენ ჟირესმა ქართული მხარისგან კუთვნილი თანხა უკლებლივ მიიღო. ასე რომ, მას ამ მხრივ არანაირი პრეტენზია აღარ აქვს. მეტსაც გეტყვით, საქართველოში არავის ეგონოს, რომ ჟირესი ქართულ ფეხბურთსა და ჩვენს ნაკრებს ცუდად უყურებს. პირიქით, ჟირესი დღესაც კარგად იხსენებს საქართველოში გატარებულ პერიოდს. მას ახლაც სჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს ბევრად უკეთ შეუძლია თამაში და უკეთესი შედეგების ჩვენება.

- ამ ბოლო ხანს ქართულ კლუბებს უცხოელი ლეგიონერებით გაძლიერებაში ეხმარები. უახლოს მომავალში ლეგიონერებს რომელ კლუბებში მოავლენ?

- ამ საკითხზე ახლაც მაქვს მოლაპარაკებები ქართულ გუნდებთან. აქტიურობით თბილისის "დინამოსა" და რუსთავის "ოლიმპს" გამოვყოფდი. თუმცა ამ ეტაპზე ამ ფეხბურთელთა ვინაობას ნამდვლად ვერ დაგიკონკრეტებთ. არ მინდა ისე გამოვიდეს, როგორც კესანის შემთხვევაში იყო

- კესანიზე რა მოხდა?

- კესანი "ზესტაფონში" რომ გადავიდა, რამდენადაც ვიცი, მანდ დაიწერა, გია გურულმა რა თავდამსხმელი გამოაგზავნა 37 მატჩში 4 გოლის მეტი ვერ გაიტანაო. არადა კესანი ფორვარდი კი არა, საყრდენი ნახევარმცველია. ეკითხთ მაინც და ვეტყოდი კესანის ამპლუას...

ერთი სიტყით, ახლა სწორედ იმ ლეგიონერებზე ვმუშაობ, რომლებსაც ქართული კლუბებისთვის ვამზადებ და ყველაფერი მალე გახდება ცნობილი.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოლოვაზოვი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 355 ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდა ხაზიდან გაუქმებულად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

აშვეთიაც მიდის?

უკვე გაცნობეთ, რომ **გიორგი ლომაია** კარიერას „კარლ ცაისში“ არ გააგრძელებს. მისი მომავალი კლუბის ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. სავარაუდოდ, ნავსაყუდელს **მიხეილ აშვეთიაც** შეიცვლის.

ამასობაში, იენური კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სეზონის შემაჯამებელი სტატია გამოქვეყნდა, სადაც თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაზეა საუბარი.

„გუნდის ძირითადი მეკარე მოსვლისთანავე უპრობლემოდ გახდა და იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე მატჩი არასტაბილურად ჩაატარა, საერთო ჯამში, მისი ასპარეზობა დადებითად უნდა შეფასდეს. ურიგო მეკარე ნამდვილად არაა, იმედია, „კარლ ცაისი“ მის ნაცვლად არნაკლები კლასის მოთამაშეს დაიმატებს“, - როგორც მიხვდით, ეს ლომაიას შეფასებაა.

„ტრავმის გამო, არაერთი შეხვედრა გაუცდა, თუმცა როცა მოედანზე იყო, ეს მებრძოლი თავდამსხმელი თავის მოვალეობას ძირითადად, დამაჯერებლად ასრულებდა. გუნდისთვის ძალ-ღონე არ დაუშურებია, „კარლ ცაისი“ მეორე ბუნდესლიგაში მისმა გოლებმაც დატოვა“, - ეს წინადადება კი აშვეთიას ეძღვნება.

ლევან ჯანეზაშვილი



კალაძე უკრაინულ ბომონდში

თუ რატომ არ ჩავიდა **კახა კალაძე** ლისაბონში ფიგუს მეგობართა და მსოფლიო ნაკრების მატჩზე, გუშინდელ "ლელოში" ვწერდით.

საქართველოს ნაკრების კაპიტნისთვის მომქანცველი საფეხბურთო სეზონი დასრულდა, ტრავმებისა და ეროვნულ ნაკრების წარუმატებელი თამაშის მიუხედავად, კახა კალაძისთვის სეზონი მაინც წარმატებული გამოდგა, მან ხომ საკლუბო ფეხბურთის დონეზე უმაღლესი ჯილდო, ჩემპიონთა თასი მოიპოვა, თანაც კარიერაში მეორედ. ასე რომ, კახას სრული უფლება აქვს, თავისი სურვილისამებრ გაატაროს პროფესიონალი ფეხბურთელისათვის არცთუ ხანგრძლივი შვებულება. კალაძესაც არ დაუყოვნებია, კიევში გაემგზავრა და **"Светская жизнь"**-ის და პოპულარული წამყვანის **კატია ოსადჩაიას** ინიციატივით, გამოიკვლიეს იმ უკრაინელ ბანოვანთა სია, რომლებიც ყველაზე ხშირად ხვდებოდნენ ტელე თუ ფოტო ობიექტივში. უკრაინული ბომონდი თითქმის სრული შემადგენლობით კიევის ცენტრში, რესტორან "დოლჩენში" შეიკრიბა. კახა არა მარტო დაპატიჟებულ სტუმართა შორის იყო, არამედ, როგორც ვწერდით, ერთ-ერთი გამარჯვებული ლედი პერსონალურად ოაჯილდოვა. ნომინანტთა შორის უკრაინის ნაკრების გოლკიპერ **ალექსანდრ შოვკოვსკის** მეუღლე **ოლგა ალიონოვაც** იყო. დანარჩენს კი უკეთ "ტაბლო ID-ის" პაპარაც **არტიომ ჟავროცკის** ფოტოებიდან შეიტყობთ.



ზოთა სანაკრებო მეგოლეებში

ზოთა არველაძე დღეისათვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირთა შორისაა და თუ კიდევ მოირგო საქართველოს ნაკრების მაისურა, შესაძლოა, თავისი მონაგარი კიდევ გაზარდოს. შეგახსენებთ, ვეტერანმა ქართველმა მეგოლემ ფარერებთან მატჩში ჰეთთრიქი შეასრულა, თითო გოლი კი უკრაინასა და შოტლანდიას გაუტანა.

ბომბარდირთა დავაში მოულოდნელად, ჩრდილოირლანდიელი **ჰილი** ლიდერობს 9 გოლით, გერმანელ **პოდოლსკისა** და ესპანელ **ვილიას** 7-7 ბურთი აქვთ გატანილი, ხორვატ **ედუარდოსა** და ებრაელ **კოლაუტის** – 6-6. ზოთას მსგავსად, მეტოქეთა კარი 5-ჯერ აიღეს თურქმა **ჰაქან შუქურმა**, პორტუგალიელმა **კრიშტიანუ რონალდუმ**, ბულგარელმა **მარტინ პეტროვმა** და შვედმა **მარკუს ოლბაკმა**.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩივაძე დასაევის იუბილეზე

დღეს „ლუჟნიკიზე“ ლეგენდარული რუსი მეკარის, **რინატ დასაევის** 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მატჩი გაიმართება. ერთმანეთს სსრკ-ის ნაკრების ვეტერანები და მსოფლიო ნაკრები შეხვდებიან.

სსრკ-ის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ გოლკიპერის ბენეფისზე არაერთი უცხოელი ვარსკვლავია მიწვეული, თუმცა შესაძლოა, მათმა დიდმა ნაწილმა სავიზო პრობლემების გამო, რუსეთის დედაქალაქში ჩასვლა ვერ შეძლოს. დასაევმა ისეთი სახელგანთქმული ფეხბურთელები დაპატიჟა, როგორებიც ესპანელი **ანტონი სუბისარეტა**, ბრაზილიელი **ჟუნიორი**, ჰოლანდიელი **რონალდ კუმანი**, იტალიელი **ჯუზეპე სინიორი**, რუმინელი **გეორგე ჰაჯი**, ლიბერიელი **ჟორჟ ვეა** და სხვები იყვნენ. საბჭოეთის გუნდს **ნიკიტა სიმონიანი** უმწვრთნელებს, მსოფლიო ნაკრებს – **მიშელ იდალგო**. თუ უცხოელი ვარსკვლავების დიდი ნაწილი მოსკოვში ჩასვლას ვერ შეძლებს, მათ სხვა, ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები შეცვლიან.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ორგანიზატორებმა მატჩზე **ალექსანდრე ჩივაძე** მიიწვიეს. მის გარდა, სსრკ-ის ნაკრებში **ანატოლი დემიანენკომ, ვაგიზ ხიდიატულინმა, ოლეგ რომანცევმა, ევგენი ლოვჩევმა, ალექსანდრ ზავაროვმა, ალექსეი მიხაილიჩენკომ, გენადი ლიტოვჩენკომ, ფიოდორ ჩერენკოვმა, იური გავრილოვმა, სერგეი როდიონოვმა, ვალერი გაზაევმა** და რაღა თქმა უნდა, თვით რინატ დასაევმა უნდა ითამაშონ.

ლევან ჯანეზაშვილი

გოგიტა გოგუა მეტოქეთა გარემოცვაში

გაჯიევს გოგუასი ეიმედება

„სატურნის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** ინტერნეტ-კონფერენცია გამართა, სადაც გულშემატკივართა უამრავ შეკითხვას უპასუხა. მან **გოგიტა გოგუა** რამდენიმეჯერ ახსენა. „იგი „სატურნისთვის“ აქამდეც მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი მწვრთნელობის პერიოდში გაცილებით დიდი როლი დაეკისრება. იგი საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელია და რეალურად შესწევს იმის უნარი, რომ „სატურნის“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდეს. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მატჩებში გაცილებით პროდუქტიულ გოგუას იხილავთ“, - ამბობს გაჯიევი, რომელმაც, შეგახსენებთ, „სატურნის“ დამრიგებლის პოსტზე რამდენიმე დღის წინათ სლოვაკი **ვლადიმირ ვაისი** შეცვალა.

ლევან ჯანეზაშვილი

საუკეთესო მსაჯები

საქართველოს მე-18 ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მიხედვით ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ საუკეთესო მსაჯები და ასისტენტები გამოავლინა.

მთავარი მსაჯები	ასისტენტები
ლევან ფანიაშვილი	მაშუკა ელიკაშვილი
გიორგი ვადაჭკორია	ზურაბ გენთეგაშვილი
ლევან კვარაცხელია	ლევან სილაგავა
ლაშა სილაგავა	გიორგი ჩიგოგიძე
დავით ხარიტონაშვილი	ზურაბ ჯვარიძე

მეტოქის ბანაკში. საფრანგეთი

დომენეკი მსაჯებსა და კალენდარს მისდგა

იმის მიუხედავად, რომ უკრაინის ნაკრებს დამაჯერებლად სძლია, ფრანგთა თავკაცი **რაიმონ დომენეკი** მსაჯობით აღშფოთებული დარჩა. საფრანგეთი-უკრაინის შეხვედრა ესპანელმა **ლუის მედინა კანტალეხომ** განსაჯა. „ამ მსაჯმა მსოფლიო ჩემპიონატზე ძალიან ცუდად იმუშავა. ჯერ იყო და მერვედფინალში იტალიას ავსტრალიასთან არარსებული პენალტი აჩუქა, შემდეგ მეოთხედფინალში ბრაზილიასთან საშინლად გვიმსაჯა, ფინალში კი სარეზერვო არბიტრი იყო და ელისონდოს ზიდანი გააძევებინა. უკრაინასთანაც ბევრი უაზრობა გააკეთა, კარგი იქნება, ამ კაცს ჩვენს თამაშზე აწი მაინც თუ აღარ დანიშნავენ“, - ამბობს დომენეკი.

მან შესარჩევი ქვეჯგუფის კალენდარზეც ისაუბრა და დაინუწუნა, თავის დროზე ჩვენთვის ხელსაყრელი ვარიანტი ვერ გავიტანეთ და ძალიან არ მომწონს, საკვალიფიკაციო ტურნირს უკრაინაში რომ ვასრულებთო.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერები

მილანი მზადაა: 28 მილიონი ეტო'ოსთვის

18 ივნისს შეხვედრა ლაპორტასთან...

"მილანი" **სამუელ ეტო'ოს** ტრანსფერზე ხელის აღებას არ აპირებს, მიუხედავად კლუბებს შორის ერთი კვირის წინანდელი შეხლა-შემოხლისა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობა "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** ერთმა ინტერვიუმ აღაშფოთა, სადაც ის ეტო'ოს ტრანსფერს "თითქმის მოგვარებულად" ასაღებს. კატალონიელებმა იტალიელები "უწესო თამაშში" დაადანაშაულეს და ფიფაში ჩივილითაც დაემუქრნენ. "მილანი" იძულებული გახდა, სპეციალური განმარტება გაეკეთებინა. მასში ნათქვამია, რომ გალიანის სიტყვები დაამახინჯეს, ხოლო თუ "მილანი" ფეხბურთელის შეძენას გადაწყვეტს, პირველ რიგში, "ბარსელონას" ჩაყენებს საქმის კურსში და ეს მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ მოხდება...

ამ ფონზე, იტალიურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს "მილანი" მზადაა, კამურუნელ ფორვარდში "ბარსას" 28 მილიონი გირვანქა შესთავაზოს. იმავე ცნობაში ვკითხულობთ, რომ "მილანის" ვიცე-ბოსი 18 ივნისს ეწვევა კატალონიას და უშუალოდ **ხოან ლაპორტასთან** გამართავს მოლაპარაკებებს. გარდა ხსენებული 28 მილიონისა, თავად ფეხბურთელს "მილანი" სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს, ხოლო ხელფასის სახით, სეზონურად, 4 მილიონ გირვანქას გადაუხდის. მაგრამ "ბარსა" მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდის ეტო'ოს, თუკი "არსენალიდან" **ტიერი ანრის** წაიყვანს...

სამუელ ეტო'ო

ტიერი ანრი

ანრი ბარსელონას შეუთანხმდა?

ტიერი ანრი "ბარსელონას" კარიერის კატალონიაში გაგრძელებაზე შეუთანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა "არსენალთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა, "კამპ ნოუზე" მისი გადაბარგება ყოველდღე უფრო რეალური ხდება. ეს ინფორმაცია ავტორიტეტულმა "ფრანს ფუტბოლმა" გაავრცელა. ფრანგული გამოცემის პუბლიკაციას თავად ტიერის განცხადება უძღვოდა წინ. სუპერვარსკვლავმა ღიად და დაუფარავად განაცხადა - ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომავალ სეზონს "არსენალში" აღარ გავატარებ და სათამაშოდ ესპანეთში ნავალო.

ეტყობა, საქმე მართლაც სერიოზულადაა. ჟურნალის კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ გასულ კვირას ანრის აგენტი **ჟერომ ანდერსონი** უკვე შეხვდა **ჩიკი ბეგირისტაინს** და მომავალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. როგორც ამბობენ, მხარეები 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ. თუ ყველა კმაყოფილი დარჩა, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მხარეები თანამშრომლობის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებაზე იმსჯელებენ. "ფრანს ფუტბოლის" ცნობით, ანრი წლიურ გასამრჯელოდ 10 მილიონ ევროს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ "არსენალი" ფრანგ თავდამსხმელს ხსენებულზე 40 პროცენტით ნაკლებს უხდის. ამას გარდა, ის სოლიდურ პრემიალურებსაც მიიღებს. თუმცა "სანთან" ინტერვიუში ბატონმა აგენტმა "ბარსელონის" რომელიმე წარმომადგენელთან შეხვედრა კატეგორიულად უარყო...

დავუბრუნდეთ ანრის. აგვისტოში ის 30 წლის ხდება, **ხოან ლაპორტას** ერთ-ერთი ფავორიტი და უსაყვარლესი ფეხბურთელია. მოგეხსენებათ, "ბარსელონის" პრეზიდენტი მის შეძენას გასული სეზონის დასრულების შემდეგაც შეეცადა, მაგრამ მაშინ ფრანგმა "არსენალში" დარჩენა ამჯობინა. როგორც ამბობენ, ამის მიზეზი ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსელონასთან" დამარცხება გახდა. მართლაც, პარიზული იმედგაცრუებიდან მცირე დროში ანრის "კამპ ნოუზე" გადაბარგება "მეთოფეთა" გულშემატკივრების თვალში ძალიან ცუდად გამოჩნდებოდა. ახლა კი მას ყველა პირობა და უფლება აქვს, რათა სიტუაციის გამოცვლაზე იფიქროს.

როგორც მოგახსენეთ, ფეხბურთელის აგენტი და ბეგირისტაინი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმდნენ. ტრანსფერის გასაჩარხად "არსენალის" შეფების დასტურიღაა საჭირო. ისევ და ისევ, "ფრანს ფუტბოლს" მოვიშველიებთ და მოგახსენებთ, რომ ლონდონელები ტიერის გაშვების წინააღმდეგნი არ არიან, თუმც ისინი თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაცხადებენ, თუ კატალონიური გიგანტი 30 მილიონ ევროს გადაიხდის. "ბარსელონასთან" დაახლოებული მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლაპორტასა და ბეგირისტაინისთვის ეს თანხა სრულიად მისაღებია. მით უმეტეს, სამუელ ეტო'ოს გაყიდვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. კამერუნელმა ფორვარდმა პატივმოყვარეობით, ჭირვეულობითა და ეგოიზმით ყველას მოაბეზრა თავი. წლეულს ის არაერთ სკანდალში გაეხვა. მოკლედ, აფრიკელს წასვლის დრო დაუდგა. "ბარსა" ანრის ელოდება...

ილია ნიკოლაიშვილი

ინტერი

ტევესი: ინტერი მეძახის!

მორატისთვის ფიგუს ალტერნატივა ნასრია

სამირ ნასრის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. საფრანგეთში უკვე დარწმუნებულნი არიან, რომ **ზინედინ ზიდანის** შემცვლელი ნაპოვნია. ამას წინათ, ქართველ გულშემატკივარსაც ჰქონდა საშუალება, მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული ნახევარმცველი საკუთარი თვალით ენახა. საქართველოს სწორედ მან გაუტანა ერთადერთი გოლი. სამი დღით ადრე, ნასრიმ უკრაინის წინააღმდეგაც ითამაშა და იქაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რამდენად სწორია მასზე ამხელა ავანსის გაცემა, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტი კი ისაა, რომ პერსპექტიული ჭაბუკით უკვე "ინტერი" დაინტერესდა. **მასიმო მორატი** მას **ლუიშ ფიგუს** ალტერნატივად განიხილავს. როგორც გაუწყეთ, ლუიში "ნერაძურიში" კიდევ ერთ სეზონს დაჰყოფს. და ვინ უნდა შეცვალოს ის, თუ არა ნასრიმ? დიახ, თურმე ასე დგას საკითხი. "ინტერში" ითვალისწინებენ იმასაც, რომ **დეიან სტანკოვიჩიც** ასაკშია. ამიტომ, მხოლოდ ნასრი და სხვა არავინ! როგორც "გაძეტა დელო სპორტი" წერს, მორატიმ უკვე დაავალა **მარკო ბრანკასა** და **გაბრიელე ორიალის**, ტრანსფერს ნიადაგი მოუსინჯონ.

ამასობაში, **კარლოს ტევესისა** და "ინტერის" სამომავლო ურთიერთობის თემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება. არგენტინელი ფორვარდი უკვე თავად ადასტურებს, რომ "ინტერის" ობიექტივშია მოქცეული: *"გავიგე, რომ ისინი ჩემით არიან დაინტერესებულნი და მეც ძალიან მიხარია, რომ ესოდენ დიდი კლუბის ყურადღებას ვიმსახურებ. თან, იტალიაში თამაშიც ძალიან მინდა. ასეთ დაინტერესებას ბევრი კამათი და შეხვედრა მოსდევს ხოლმე, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ოფიციალურია ეს დაინტერესება თუ არა".*

სამირ ნასრი

ტევესმა ადრეც განაცხადა, რომ მზადაა, ინგლისი დატოვოს, მაგრამ იმაზე, თუ სად სურს კარიერის გაგრძელება, არაფერს ამბობდა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია: იტალია და "ინტერი". როგორც პრესა წერს, იტალიურ გრანდს 10 მილიონი გირვანქაც ეყოფა ტევესის გადასაბირებლად. უცნაურია, რომ სააგენტო MSI-ს, რომელიც 23 წლის თავდამსხმელის სატრანსფერო უფლებებს განკარგავს, შეუძლია ის ნებისმიერ მომენტში, თუნდაც 100 ათას გირვანქად გაასხვისოს. ტევესს "ვესტ ჰემთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. სხვადასხვა წყაროების მტკიცებით, არგენტინელის ყიდვა "რეალს", "სევილიას", "ლივერპულსა" და "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურთ.

დილემა

დროგბა: შეიძლება, წავიდე...

...ასეა საქმე. **დიდიე დროგბა** "ჩელსიში", შეიძლება, აღარ დარჩეს. ამას თავად ფეხბურთელიც ადასტურებს. კოტდივუარელი ვარსკვლავი "სანს" გაესაუბრა. დროგბა ფიქრობს, რომ მისი ამბიციები "ჩელსის" დონეს აღარ შეეფერება. ცოტა უცნაური განცხადებაა... მაგრამ, სჯობს ფეხბურთელის არგუმენტებს გავეცნოთ: *"ვფიქრობ, ამ გუნდს ამბიცია აკლია. ამიტომ, უნდა გადავწყვიტო, მიღირს თუ არა ასეთ კლუბში დიდხანს დარჩენა. 29 წლის ვარ და ფეხბურთში დიდი დრო არ დამრჩენია. ეს დრო კი დასაკარგი ნამდვილად არ არის".*

დროგბა აცხადებს, რომ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი უდგას: ან ისევ "ჩელსიში", ან სადმე სხვაგან. მაგრამ სად - სხვაგან? დიდიეს იტალია და ესპანეთი იზიდავს. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ დროგბა "მილანის", "ინტერის", "იუვენტუსის", "რეალის" ან "ბარსელონის" სამიზნე შეიძლება გახდეს. ყველა ეს კლუბი უარს იქნება, დროგბას დარი ფორვარდით გაძლიერდეს. მაგალითად, "მილანი" **სამუელ ეტო'ოს** ან **ტიერი ანრის** ყიდვას ცდილობს. და რატომ არ შეიძლება განვიხილოთ მათ ალტერნატივად "ჩელსის" თავდამსხმელი? მით უმეტეს, რომ იმავე ეტო'ოსა და ანრისთვის სხვა გიგანტებიც იბრძვიან.

ან რატომ არ შეიძლება, ეს იყოს "ინტერი", რომელსაც **ადრიანოს** ხუშტურები ყელში ამოუვიდა, "ჩელსი" კი ბრაზილიელის პოტენციურ მყიდველთა რიგში ყოველთვის მოიაზრებოდა. ან თუნდაც "იუვენტუსი", რომელიც **დავიდ ტრეზეგეს** შემცვლელს ეძებს. შესაძლოა, დროგბაზე უარი არ თქვას "რეალმაც", აღარაფერს ვამბობთ "ბარსელონაზე", სადაც სეზონის დასრულებისთანავე, დიდი ცვლილებები იგეგმება.

"დადგა დრო, რიცა არჩევანი უნდა გავაკეთო. მინდა, სხვა ქვეყნებშიც მოვსინჯო ძალები და ვნახო, როგორია ფეხბურთი ინგლისის გარეთ. ძალიან საწყენი იქნება, თუ კარიერის ბოლომდე ვერ მოვახერხებ ისეთ გუნდებში თამაშს, რომლებზეც ჭაბუკობის დროიდან ვოცნებობდი. ვაღიარებ, რომ ყველაზე მეტად იტალია და ესპანეთი მხიბლავს. მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი, რომ "ჩელსის" დღე-დღეზე დავტოვებ. არ ვიცი, რა მოხდება ახლო მომავალში".

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ "ჩელსიმ" დროგბა "მარსელიდან" 24 მილიონ გირვანქად იყიდა. უკანასკნელ სეზონში მან 21 გოლი გაიტანა.

დიდიე დროგბა

სერია B

ჯენოა გადარჩა?

პრეციოზი თანამდებობას ტოვებს

"ჯენოას" თავს დამტყდარ ამბებზე გუშინდელ ნომერში ვწერდით. შეგახსენებთ, რომ კლუბმა სერია A-ს საგზური ბოლოსწინა ტურში გაინაღდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გენუელთა პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი,** 2003-2004 წლებში "კომოს" ხელმძღვანელად ყოფნის დროს, ფინანსური მაქინაციების გამო სამწლიან დისკვალიფიკაციას ექვემდებარება. ასეთი ვერდიქტი გამოიტანა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ ორშაბათ დილით, როცა გენუა ჯერ კიდევ ზეიმობდა. ამას გარდა, "ჯენოას" 3 ქულის ჩამოკლებითაც დაემუქრნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იტალიის უძველეს კლუბს ელიტაში დაბრუნებისთვის ბრძოლა ახლა "პიაჩენცასთან" ფლეი ოფში მოუწევდა...

გამოსავალი მოინახა: ფეხბურთის ფედერაცია არ დასჯის კლუბს, თუ პრეციოზი თანამდებობიდან გადადგება. "ჯენოას" პრეზიდენტმა გუშინ განაცხადა, რომ კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, პოსტს ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. სამწვრთნელო გადაადგილებები

პარმამ დი კარლო, სიენამ მანდორლინი...

"პარმა" **ფრანჩესკო გვიდოლინს** ვერ მოურიგდა. შესაბამისად, კლუბი სხვა მწვრთნელის ძიებაზე გადაერთო. გუშინ ცნობილი გახდა, რომ პარმეზანელთა ახალი თავკაცი **დომენიკო დი კარლო** იქნება. ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ:

"მწვრთნელ დომენიკო დი კარლოსა და კლუბს შორის ყველაფერი შეთანხმებულია. გადაწყდა, რომ ის პირველი გუნდის დამრიგებელი იქნება. სინიორ დი კარლო კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, კიდევ ერთი სეზონით დარჩენის პერსპექტივით. ახალი ტაქტიკოსი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს. ოფიციალურად მას 14 ივნისს წარვადგენთ".

დი კარლო 43 წლისაა. პროფესიული სამწვრთნელო მოღვაწეობა სულ ახლახან, 2004 წელს "მანტოვაში" დაიწყო, მას შემდეგ, რაც მცირე ხანი "ვიჩენცას" ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა. მისი ხელმძღვანელობით, "მანტოვა" პირველსავე სეზონში გადავიდა სერია B-ში, აწგასრულებულ ჩემპიონატში კი პირველი გუნდი იყო, რომელმაც "იუვენტუსის" დამარცხება შეძლო. "ბიანკოროსი" დიდხანს რჩებოდა ელიტაში აღზევების კანდიდატადაც, მაგრამ საბოლოოდ მე-8 ადგილს დასჯერდა. კლუბმა დი კარლოს ეს შედეგი წარმატებად ჩაუთვალა და კონტრაქტის გაგრძელებაც შესთავაზა, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტმა გაცილებით მაღალ დონეზე ისურვა მუშაობა.

ახალი მწვრთნელი მივიდა "სიენაშიც". **მარიო ბერეტას** ნაცვლად, რომელმაც გუნდს სერია A-ში ადგილი შეუნარჩუნა, ტოსკანურ კლუბში **ანდრეა მანდორლინი** იმუშავებს. მწვრთნელის გარდა, მთლიანად შეიცვალა "სიენის" ტექნიკური შტაბიც. მანდორლინის 18 ივნისს წარადგენენ. მანამდე, ის დირექტორთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ამ მხრივ, პრობლემები არ იქნება.

მანდორლინი ყოფილი მცველია. 46 წლის სპეციალისტმა, დღემდე, "რავენაში", "ტრიესტინაში", "სპეციასა" და "ვიჩენცაში" მოასწრო მუშაობა. ამას გარდა, 2003/04 წლების სეზონში "ატალანტა" უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანა. 2006 წელს მცირე ხნით "ბოლონიაში" იღვაწა, შემდეგ სათავეში ჩაუდგა "პადოვას" (სერია C), საიდანაც ორი კვირის წინათ აიბარგა.

დომენიკო დი კარლო და ანდრეა მანდორლინი

ლივერპული

ფული და ვილია რაფას

დავიდ ვილია

ჩემპიონთა ლიგის ფინალში მარცხის შემდეგ, **რაფა ბენიტესმა** კლუბის ახალ მეპატრონეთა გასაგონად თქვა, რომ სოლიდური ინვესტიციების გარეშე, "ლივერპული" მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს. მომავალი სეზონისთვის "წითლები" ჩემპიონის ტიტულს უმიზნებენ, მაგრამ თუ გუნდი არ გაძლიერდა, ლიგის ბოლო ფინალისტს კვლავ მოკრძალებული შედეგით მოუწევს დაკმაყოფილება. ბენიტესს მაგალითებად "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" მოჰყავს. ვინც დიდ ფულს ხარჯავს, ის იმარჯვებსო, ეს მისი სიტყვებია. პარალელურად, აგორდა ჭორები იმაზე, რომ ესპანელი სპეციალისტი "ლივერპულის" ახალ მეპატრონეთა პოლიტიკით უკმაყოფილოა და გუნდის დატოვებაზეც კი ფიქრობს. მაგრამ ჯერჯერობით, ამ ტიპის უთანხმოება არ დასტურდება.

ხსენებულ პრობლემებზე რაფა კლუბის ამერიკელ მფლობელებთან აპირებდა საუბარს. პრესისთვის უცნობია, შედგა თუ არა ეს შეხვედრა, მაგრამ როგორც ჩანს, ბოსებს მწვრთნელის კომენტარები უყურადღებოდ დაუტოვებიათ. "წითლების" ერთ-ერთი მეპატრონე **ჯორჯ ჯილეტი** აცხადებს, რომ ფულს "მთვრალი მეზღვაურივით" არ დახარჯავს, თუმცა, ამავე დროს, პირობას დებს, რომ გუნდის გასაძლიერებლად, ამ ზაფხულსვე, სერიოზული თანხა გამოიყოფა. ჯილეტი და მისი კომპანიონი **ტომ ჰინქსი** "ლივერპულის" ეტაპობრივი გაძლიერების გეგმას ემხრობიან. აი, მისტერ ჯილეტის კომენტარი, რომელიც "თაიმსმა" დაბეჭდა:

"გაზეთები წერენ, თითქოს ჩვენსა და ბენიტესს შორის დიდი განხეთქილებაა. კარგა ხანია, მსგავსი ტყუილი არ წამიკითხავს. პირიქით, "ლივერპულში" სრული თანხმობაა. რაფამ ჯერ კიდევ თებერვალში დაგვიდო გეგმა და ჩვენ ამ გეგმის მიხედვით ვიმუშავებთ. ცხადია, გვესმის, რომ გუნდის მომავლისთვის ფულის დახარჯვაა საჭირო, მაგრამ ამ ფულს მთვრალი მეზღვაურივით არ გავანიავებთ. სხვათა შორის, ეს გეგმა მარტო ხარჯვას არ ითვალისწინებს. "ლივერპული" პრიორიტეტს თანდათანობით განვითარებას ანიჭებს".

მოკლედ, ბენიტესს ამ ზაფხულს ფული ექნება. ექნება, მაგრამ რამდენი? ეს არის საკითხავი. ახლა, მწვრთნელისთვის მთავარი რომელიმე მეგაფორვარდის შეძენაა. რაფა არ მალავს ინტერესს ვალენსიელი **დავიდ ვილიას** მიმართ. "ღამურები" თავდამსხმელს 25 მილიონ ევროდ აფასებენ. ასევე, სამიზნეშია **სამუელ ეტო'ოც**, მაგრამ ორივე ერთად არ გამოვა. სავარაუდოდ, ბენიტესი უპირატესობას ვილიას მიანიჭებს.

ფენერბაჰჩე

კარლოსის შემდეგ ელგერა

სტამბოლელებს გუდიონსენიც უნდათ

რობერტო კარლოსის შემდეგ "ფენერბაჰჩე" კიდევ ერთი მადრიდელი ვარსკვლავით დაინტერესდა. სტამბოლში გამგზავრებას **ივან ელგერასაც** სთავაზობენ. თურქებმა "სარაგოსა"-"რეალის" ბოლო ტურის მატჩზე (2:2) წარმომადგენლობითი დელეგაცია მიავლინეს. მათ ესპანელ მცველთან მოლაპარაკების გამართვა სურდათ. უცნობია, შედგა თუ არა შეხვედრა. მიმომხილველების მტკიცებით, კარლოსის ტრანსფერი საკმარისზე მეტი არგუმენტია, რათა ფენერის კონტრაქტს ელგერაც დათანხმდეს. თურქები დარწმუნებულნი არიან, რომ "რეალთან" ფასზე მორიგება არ გაუჭირდებათ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა გალაქტიკომ სტამბოლს უკომპენსაციოდ მიაშურა.

"ფენერის" ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას "ბარსელონასთანაც" სურს საერთო ენის გამონახვა. თურქული გრანდი **ეიდურ გუდიონსენით** დაინტერესდა. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, ისლანდიელ თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" ეპატიჟება. ესპანური გამოცემის მტკიცებით, გუდიონსენს მანჩესტერული კონტრაქტი მაგიდაზე უდევს. მას მხოლოდ ხელმოწერაღა აკლია. ამიტომ "ფენერს" ძალიან მცირე შანსი აქვსო, წერს "ელ მუნდო". მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.



რობერტო კარლოსი

გერმანია

მაკელელეც სტამბოლში

"ბეშიქთაში" "ჩელსისთან" გარიგებას ცდილობს. სტამბოლურ გრანდს **კლოდ მაკელელეს** შეძენა სურს. ფრანგ ნახევარმცველს ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი შესთავაზეს. "ბეშიქთაშს" საკომპენსაციო თანხის გადახდა არ სურს. ის იმედოვნებს, რომ ლონდონელები ფეხბურთელთან კონტრაქტს ნაადრევად გაწყვეტენ. მაკელელე "ჩელსის" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გარანტირებული აღარ აქვს. გასულ სეზონში მაკელელეს ადგილზე ხშირად ნიგერიელი **ჯონ ობი მიკელი** თამაშობდა. მისი გაშვების შემთხვევაში, "არისტოკრატების" სახელფასო ბიუჯეტი საგრძნობლად შემცირდება. "ბეშიქთაშის" გარდა, კლოდს "ვილიარეალი", "ოლიმპიაკოსი" და "ჰიუსტონ დინამოსი" ეპატიჟებიან. მაკელელეს აგენტმა, ჯერჯერობით, მხოლოდ "ვილიარეალის" ვარიანტი გამორიცხა. როგორც ჩანს, დანარჩენ კლუბებთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ლუკარელი რჩება?

კრისტიანო ლუკარელი აცხადებს, რომ "ლივორნოში" რჩება. არადა, ფეხბურთელს კონფლიქტი ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობასა და ფანებთან. ეტყობა, ყველაფერი მოგვარდა. თუმცა ეს მაინც იძულებით ნაბიჯს ჰგავს. ფეხბურთელისავე თქმით, სხვა კლუბებისგან შეთავაზებები არ მიუღია. როგორც ჩანს, ორიოდ დღის წინათ გავრცელებული ცნობა, მისით "სამპდორიის" დაინტერესების თაობაზე, მართალი არ გამოდგა.

"ახლა არდადეგებზე მივდივარ. მობილურს აუცილებლად გამოვრთავ. 8 ივლისამდე ფეხბურთზე ფიქრი არ მინდა. მომავალი? არ ვიცი, ჯერჯერობით, სხვა კლუბები ჩემით არ დაინტერესებულან," - ამბობს ლუკარელი.

იუვე: ალმირონი და იაკუინტა დადასტურდა, მიკოლი ბრუნდება

არგენტინელ **სერხიო ალმირონს** "იუვენტუსში" გადასვლამდე დღეები (შეიძლება, საათებიც) აშორებს. "ემპოლი" ადასტურებს, რომ ტურინულ გრანდთან შეთანხმება მიღწეულია. ტოსკანელთა სპორტული დირექტორი **ჯუზეპე ვიტალე** და მისი იუვენტუსული კოლეგა **ალესიო სეკო** ერთმანეთს დღეს ან ხვალ შეხვდებიან და ყველა დეტალზე საბოლოოდ მოილაპარაკებენ. "იუვე" 5 მილიონ გირვანქას გადაიხდის, ამას გარდა, "ემპოლი" ტურინელთა ახალგაზრდა ნახევარმცველის **მატეო პაროს** თანამფლობელიც გახდება. ალმირონი 27 წლისაა. ის იტალიაში 2001 წლიდან თამაშობს. "უდინეზედ" ნახევარმცველი არგენტინული "ნიუელს ოლდ ბოიზისგან" იყიდა. "ემპოლიში" 2004 წელს გადავიდა. ერთი სეზონი განათხოვრებით "ვერონაში" აქვს გატარებული.

დადასტურდა "უდინეზედან" **ვინჩენცო იაკუინტას** ნასვლაც. ფრიულული კლუბის პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო** აცხადებს, რომ ფორვარდი ხელშეკრულებას "იუვენტუსთან" გააფორმებს: *"შეიძლება, მან უკვე მოაწერა კიდეც კონტრაქტს ხელი. ჩვენსა და ტურინელებს შორის შეთანხმება მიღწეულია. დარჩა ოფიციალური მხარე. "იუვე" 7 მილიონ გირვანქას გადაგვიხდის. ამას გარდა, ისინი ახალგაზრდა ფორვარდ მიკელე პაოლუჩისაც გვაძლევენ".*

ამას გარდა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ "იუვეს" მწვრთნელმა **ლაუდიო რანიერიმ** "ბენფიკაში" განათხოვრებული **ფაბრიციო მიკოლის** დაბრუნება მოითხოვა.

ბალცარეტი ფლორენციელია

"იუვენტუსის" მცველი **ფედერიკო ბალცარეტი** "ფიორენტინაში" გადავიდა. 25 წლის მოთამაშეს ფლორენციელები კარგა ხანს აკვირდებოდნენ. ბალცარეტიმ სერია B-ს მარათონი მაღალ დონეზე ჩაატარა და სპეციალისტებისგან ქებაც დაიმსახურა. ის ტურინშია დაბადებული. 2005 წელს "იუვეში" თანაქალაქელ "ტორინოდან" გადავიდა, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გაკოტრებულად გამოცხადდა.

არიგონიმ ბოლონიას მიაშურა

"ბოლონიას" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ვაკანტურ პოსტზე დაინიშნა **დანიელე არიგონი**, რომელიც **რენცო ულივიერის** შეცვლის. თავად არიგონიმ კი გასული სეზონის დიდი ნაწილი "ლივორნოში" გაატარა. შუა სეზონში ის თანამდებობიდან გაუშვეს, მაგრამ ფანების მოთხოვნით, პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** მალევე დაუბრუნა სკამზე. თუმცა მას ნაადრევი დათხოვნა მაინც არ ასცდა: მარტში ის **ფერნანდო ორსიმ** შეცვალა. რაც შეეხება არიგონის ბოლონიურ მისიას, ისედაც ნათელია, რომ სახელოვანი კლუბი სერია A-ში უნდა დაუბრუნოს.

რომას კივუ არ ეთმობა

"რომას" ტექნიკური დირექტორი **ბრუნო კონტი** აცხადებს, რომ კლუბი **კრისტიან კივუს** შენარჩუნებას ეცდება და საამისოდ, ყველანაირ დასაშვებ ხერხს გამოიყენებს. რუმინელ მცველს "ჯალოროსისთან" კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს გაფორმებული. ფეხბურთელი "ინტერში" გადასვლას აპირებს. მოლაპარაკებები დაწყებულია. კივუ "რომასთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებისგან თავს იკავებს, თუმცა კლუბს ისიც აწყობს, რომ მოთამაშე ამ პირობებით მაინც დარჩეს და ახალ ხელშეკრულებაზე ეგებ იანვარში დაითანხმოს.

"ჩვენ კივუს დაკარგვა არ გვინდა. ლუჩანო სპალეტი მას ივლისისთვის, წინასასეზონო შეკრებაზე ელოდება," - *დასძენს კონტი.*

დანია კოპენჰაგენიდან შორს ვერ წავიდა

მოგეხსენებათ, შვედეთთან საკვალიფიკაციო მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო, უეფამ დანიის ფეხბურთის ფედერაცია უმკაცრესად დასაჯა. მთვრალი ფანის მინდორზე გადახტომა და არბიტრისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება დანიელებს ტექნიკურ წაგებად (0:3) და კოპენჰაგენის "პარკენ სტადიონის" დისკვალიფიკაციად დაუჯდათ. ფედერაცია ჯარიმის სახით 100 ათას შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდის. დანიელებს მომდევნო ოთხი საშინაო შესარჩევი მატჩი დედაქალაქიდან 250 კილომეტრის მოშორებით უნდა გაემართათ. ამათგან პირველი თამაში უმაყურებლოდ. მაგრამ დანიის სამეფო ერთი ციცქნა სახელმწიფოა. კოპენჰაგენიდან 250 კილომეტრის მოშორებით უკვე სხვა ქვეყნების ტერიტორიებია. დედაქალაქიდან ყველაზე შორის სტადიონი, რომელიც უეფას მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ორჰუსში მდებარეობს. ჰოდა, დანიელებმა უეფას სთხოვეს, მხედველობაში მიეღო გეოგრაფიული პრობლემა და ორჰუსში თამაშის ნება დაერთო. უეფამ თხოვნა შეისმინა. ყველა სხვა სანქცია ძალაში რჩება. აკრძალვის რადიუსი კი შემცირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი სპონსორი

მეათე ჩემპიონთა თასი ახალი მაისურით

BWIN სამი წლით, სამეფო კლუბმა კონტრაქტის ფინანსური დეტალები ისევ საიდუმლოდ შეინახა...

რამონ კალდერონი და რაული მადრიდელთა ახალ ფორმას ნარადგენენ

გუშინ, "რეალისა" და "ბეთ ენდ ვინის" კონტრაქტის დეტალები გამოამზეურეს. ავსტრიული ინტერნეტ-ტოტალიზატორი სამეფო კლუბთან სამი წელიწადი ითანამშრომლებს. როგორც ითქვა, ხელშეკრულების გაფორმება საერთო ღირებულებებმა განაპირობა. ეს ღირებულებები კი სხვა არაფერია თუ არა ლიდერობა, წინსწრაფვა, ტექნოლოგიური ინოვაციები და დინამიზმი. კონტრაქტში მხარეების მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული. სამეფო კლუბი სოლიდურ თანხას (კონკრეტული რაოდენობა ისევ არ ხმაურდება) მიიღებს. სანაცვლოდ კი "ბეთ ენდ ვინის" ლოგოთი დამშვენებული მაისურებით ისპარეზებს. ავსტრიელები უფლებამოსილნი არიან, "რეალის" სახელი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ. "ბეთ ენდ ვინის" მესვეურებს იმედი აქვთ, რომ მადრიდულ გრანდთან თანამშრომლობა მსოფლიოს ბაზრების დაპყრობაში დაეხმარება.

აი, რას ამბობს გენერალური დირექტორი **მანფრედ ბოდნერი**: *"ჯერ კიდევ 2004 წელს განვაცხადე, რომ ამ ბიზნეს სექტორის ლიდერობას ვუმიზნებდით. ახლა მართლაც პირველები ვართ, მაგრამ მადრიდის "რეალთან" თანამშრომლობით პოზიციებს კიდევ უფრო განვიმტკიცებთ. სამეფო კლუბი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კოლექტივია. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მისი სახელი ისეთ ქვეყნებშიც გაგვითქვამს სახელს, სადაც ჩვენს შესახებ არაფერი იციან. ლოგიკა მარტივია: გულშემატკივარი "რეალის" მაისურზე ახალ ლოგოს დაინახავს და იკითხავს, ნეტავ, ეს რა არისო. ამის შემდეგ კი ინფორმაციის მოძიებას დაიწყებს. მას მარტივი ოპერაცია ექნება ჩასატარებელი. ინტერნეტში უნდა შევიდეს და ჩვენი მისამართი ჩაწეროს: www.bwin.com. ძალიან კმაყოფილი ვარ."* კმაყოფილება **რამონ კალდერონსაც** არ დაუმალავს. მას ალბათ, ავსტრიელების მიერ შეპირებული ათობით მილიონი ევრო ახარებს. შესანიშნავ განწყობაზე მყოფმა პრეზიდენტმა არ დაიზარა და ახალი მაისურის პრეზენტაცია მოაწყო. ღონისძიებაზე ის გუნდის კაპიტანთან ერთად გამოცხადდა. კალდერონმა რაულს ყველას გასაგონად უთხრა, ეს მაისურა მეათე ჩემპიონთა თასს მოგვიტანსო.

ბრაზილია რობინიოს ითხოვს, ბექჰემმა ვერ ივარჯიშა

ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაცია "რეალს" ფიფაში ჩივილით ემუქრება. პენტაკამპიონები დაჟინებით ითხოვენ **რობინიოს** ნაკრებში გაშვებას, "მალიორკასთან" მატჩამდე. სამეფო კლუბს გარემარბი ძალიან სჭირდება. ბალეარელებთან შეხვედრამ ჩემპიონის ვინაობა უნდა გაარკვიოს. რობინიო მადრიდელთა ძირითადის ფეხბურთელია. რა გასაკვირია, რომ **ფაბიო კაპელოს** მისი გაშვება არ სურს. ბრაზილიელები კი კოპა ამერიკისთვის შეკრებას იწყებენ. **კარლოს დუნგას** სურს, უკლებლივ ყველა შეგირდი ნაკრების ბანაკში იხილოს. რა მოხდება, თუ "რეალი" მოთხოვნას არ გაითვალისწინებს? სამეფო კლუბს ფიფას წესდების დარღვევისთვის უჩივლებენ და შეიძლება, სამი ქულა ჩამოაკლონ. რობინიოს აგენტი ესპანეთში მიემგზავრება. ის "რეალის" ხელმძღვანელებს შეხვდება, რათა პრობლემა მოაგვაროს. მადრიდელები ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის სახელზე წერილს ამზადებენ. სპორტული დირექტორი **პედია მიატოვიჩი** უმორჩილესად ითხოვს, რათა რობინიომ "მალიორკასთან" ითამაშოს. მატჩის დასრულებისთანავე, სამეფო კლუბი მას საკუთარი ხარჯით გამგზავრებას ჰპირდება.

"რეალი" სიკვდილ-სიცოცხლის მატჩისთვის ემზადება. **დევიდ ბექჰემი** თანაგუნდელებთან ერთად არ ვარჯიშობს. ის "სარაგოსასთან" მატჩში გართულებულ ტრავმას იშუშებს. "მალიორკასთან" შეხვედრა უკანასკნელი იქნება მის ესპანურ კარიერაში. ინგლისელ გალაქტიკოს ძალიან უნდა მინდორზე გასვლა, რათა გულშემატკივრებს გამოეთხოვოს. ზაფხულის არდადეგების შემდეგ ბექჰემი ლოს ანჯელესში გაემგზავრება. "გალაქსისთან" ხუთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ის 250 მილიონ დოლარს მიიღებს.

და კიდევ ერთი ინფორმაცია მადრიდიდან. "დიარიო ასის" მტკიცებით, "რეალი" დარწმუნებულია, რომ ბარსელონელი **ხავიერ სავიოლას** მასთან გააფორმებს კონტრაქტს. არგენტინელ თავდამსხმელს კატალონიელებთან კონტრაქტი უმთავრდება. ივნისის მიწურულს ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მოიპოვებს. ასე რომ, მადრიდელებს მისი შეძენა ერთი ცენტიც კი არ დაუჯდებათ. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რაულ ტამუდომ ბარსელონელებს, ფაქტობრივად, ჩემპიონობა წაართვა

ინტერვიუ რაულ ტამუდოსთან

არაფერი ყოფილა დადუმებულ კამპ ნოუზე სასიამოვნო სანახავი

ესპანიოლის თავდამსხმელი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა...

"ბარსელონის" ფანებისთვის რაულ ტამუდო ყველაზე საძულველ ფეხბურთელად იქცა. "ესპანიოლის" კაპიტნის დუბლის გამო, კატალონიურმა გრანდმა ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა. მისი გოლები რომ არა, "ბარსა" გაიმარჯვებდა და პირველ ადგილს დაიბრუნებდა. ახლა კი სასწაული უნდა მოხდეს, რომ ფრანკ რიიკაარდის ბიჭებმა ოქროს მედლები მოიპოვონ. მადრიდელები "ესპანიოლის" ფორვარდის გარჯას საკადრისად აფასებენ. ფაბიო კაპელოს თქმით, ტამუდომ დაიმსახურა, საუკეთესო რესტორანში "რეალის" ხარჯით ივახშმოს და საჭმელ-სასმელი შეუზღუდავად შეუკვეთოს. ჟურნალისტებმა რაულის გოლებს დაუნდობელი შურისძიება უწოდეს. ოდესღაც ის "ბარსაში" თამაშსა და კარგი კარიერის გაკეთებაზე ოცნებობდა, მაგრამ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებმა დაიწუნეს. ასეა თუ ისე, ტამუდომ "რეალს" უდიდესი საქმე გაუკეთა. პირად სარგებელს რაც შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ დერბიში გატანილი ორი ბურთის შემდეგ ის "ესპანიოლის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლე გახდა.

- კატალონიური დერბის მომდევნო დღემ როგორ ჩაიარა?

- მეორე დღე მშვიდი და უშფოთველი იყო, თუმცა გამოგიტყდებით, უფრო დაღლილი ვიყავი, ვიდრე საფინალო სასტვენის შემდეგ.

- ქუჩაში გასულს ხალხი რას გეუბნებოდათ?

- ჩვენს ქალაქში "ბარსელონას" გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავს. მოქალაქეების უმრავლესობა მტრულ მზერას მაყოლებდა. "ესპანიოლის" ქომაგები კი მაჩერებდნენ და მილოცავდნენ. რამდენიმე ლამაზი გოგოც კი გადამეხვია. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, ჩემი შეყვარებული "ბარსას" ფანია, მე კი ბავშვობიდან "ესპანიოლს" ვქომაგობ. შენი გოლებით ძალიან გავიხარე. ის კი ისე მეჩხუბა, შესაძლოა, ერთმანეთს დავშორდეთო. დასანანი იქნება, თუ ასე მოხდება. მე უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ბუნებრივია, არავის სიყვარულის დანგრევა არ მსურდა. რას ვიზამთ, ასეთია ბარსელონური ცხოვრება.

- სხვათა შორის, რაფა მარანიონის მაჩვენებელი გაუმჯობესეთ და "ესპანიოლის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდით.

- ვერავინ წარმოიდგენს, როგორ მიხარია, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. იმედია, მომავალში კიდევ მრავალ გოლს გავიტან.

- გასაოცარი ის არის, რომ გოლები მაშინ გაგაქვთ, როცა "ესპანიოლის" პრესტიჟს ყველაზე მეტად სჭირდება დაცვა...

- მე სხვა ამოცანა არც მაკისრია. აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. ბუნებრივია, ყოველ შეხვედრაში გოლს ვერ გავიტან, თუმცა თავდაუზოგავად ვშრომობ, რათა "ესპანიოლი" მაღალ მწვერვალზე ავიდეს.

- შაბათის შეხვედრას დავუბრუნდეთ. ხომ არ მოგეჩვენათ, რომ "ბარსელონა" პირველივე წუთებიდან სუსტად თამაშობდა?

- რატომღაც, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ "ბარსა" თავად ცდებოდა. არადა, მასპინძლებს ჩვენ ვაიძულებდით, რომ შეცდომები დაეშვათ.

- ანგარიშის გახსნა საკმაოდ იოლად მოახერხეთ.

- დიახ, ეს ძალიან მოულოდნელი იყო. "ბარსელონას", ფაქტობრივად, უკანასკნელი შანსი ჰქონდა. ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ "ესპანიოლი" საშინაო შეხვედრაში ამდენ პრობლემას შეუქმნიდა.

- ივან დე ლა პენიაც საუცხოოდ გამოიყურებოდა.

- ისიც უაღრესად მოტივირებული იყო. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დიდი მატჩი ჩაეტარებინა და "ესპანიოლს" პრესტიჟის გადარჩენაში დახმარებოდა.

- პირველი საგოლე პასი სწორედ მან მოგაწოდათ...

- ფანტასტიკური პასი იყო.

- პასი, რომელმაც ლილიან ტურამი სათამაშო ეპიზოდიდან მთლიანად გამოთიშა.

- აბსოლუტურად გეთანხმებით. ტურამმა პოზიციური შეცდომა დაუშვა. ივანმა ეს დროულად შენიშნა და მართლაც გენიალური პასი მომაწოდა. ტურამთან შებრძოლება საერთოდ არ დამჭირდა. მხოლოდ ვალდესისთვის უნდა მეჯობნა.

- წარმატება ტრადიციულად აღნიშნეთ. როგორც ყოველთვის კლუბის გერბს ეამბორეთ...

- ეს არის გზა და საშუალება იმისთვის, რომ "ესპანიოლისადმი" სიყვარული და მოწინება გამოვხატო. ამ გუნდმა გაზრდის საშუალება მომცა. დიდ ფეხბურთს სწორედ "ესპანიოლში" ვეზიარე.

- ლეო მესიმ პირველი გოლი ხელით გაიტანა. როგორ შეაფასებთ იმ ეპიზოდს?

- ფოტოებსა და ვიდეოფირზე ნათლად გამოჩნდა, რომ მესიმ ხელით გაიტანა. მსაჯმა გოლი ალბათ იმიტომ ჩათვალა, რომ კანონდარღვევა ვერ შენიშნა

- მეორე ტაიმში ინიციატივა დათმეთ. რა იყო ამის მზეზი: "ბარსელონის" გააქტიურება, თუ ტაქტიკური ჩანაფიქრი?

- "ბარსა" აგებდა და რა თქმა უნდა, დიდი ძალებით წამოვიდა წინ. საკუთარი კარის უსაფრთხოების გამო ენერგიის უდიდეს ნაწილს დაცვაში თამაშს ვახმარდით. ამ დროს ჩვენ სწორედ იმ კონტრშეტევას ველოდით, რომელიც ბოლო წუთზე მოვაწყვეთ და გოლით დავასრულეთ.

- როცა მესიმ დუბლი შეასრულა, ხომ არ გაიფიქრეთ, რომ თამაშის გადარჩენის შანსი აღარ გქონდათ?

- ბრძოლას ნაადრევად არასოდეს ვწყვეტთ. ეს გამორიცხულია. ვფიქრობდი, რომ საქმე მნიშვნელოვნად გაგვირთულდა, თუმცა საკუთარი გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი წამითაც არ შემიტანია.

- რისი გაკეთების სურვილი გაგიჩნდათ, როცა დაინახეთ რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა?

- განსაკუთრებული არაფერი მინდოდა. მხოლოდ ის მსურდა, თანაგუნდელებს გადავხვეოდი. დამეთანხმებით, ეს არ იყო რთულად ასასრულებელი ნატვრა (იცინის).

- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დუბლი დიდად არ გაგიხარდათ...

- (იცინის) ვფიქრობ, ძალიან კარგად მიცნობთ და იცით, რომ გოლებს მშვიდად ვხვდები. მხოლოდ და მხოლოდ, თანაგუნდელებზე ჩახუტება და წარმატების აღნიშვნა მსურდა. ეს იყო და ეს.

- რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ "რეალს" უდიდესი სამსახური გაუწიეთ.

- მეორე გოლის მომენტში არ ვიცოდი, რომ მადრიდელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ამას მხოლოდ სტადიონის რეაქციით მოვხვდი. არაფერი ყოფილა გადაჭედილ და დადუმებულ "კამპ ნოუზე" სასიამოვნო სანახავი (იცინის).

- კატალონიურ დერბიში მიღწეული ყაიმით გლაზგოური იმედგაცრუება ოდნავ მაინც თუ გაგინელდათ?

- არა. უეფას თასის ფინალში გამარჯვებით ისტორიაში შევიდოდით. "ბარსელონასთან" ფრით კი მხოლოდ ერთი ქულა მოვიპოვეთ და მასპინძლებს განწყობა გავუფუჭეთ. ამ ორი თამაშის შედარება აბსურდია. გლაზგოურ იმედგაცრუებას "ბარსელონის" დიდი ანგარიშით დამარცხებაც ვერ გაგვინელებდა. შოტლანდიაში უაღრესად მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე 10 კაცით დავრჩით, მაინც ვაუკაცურად ვიბრძოლეთ და მხოლოდ პენალტების სერიაში დავმარცხდით. პალოპმა სასწაული მოახდინა.

- "ესპანიოლის" გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს...

- თუ ასეა, ძალიან მიხარია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, უეფას თასის ნაგება ამ ფრემ როგორ უნდა აანაზღაუროს.

- სამეფო კლუბისგან რაიმეს ხომ არ ელით?

- არა.

- გეცოდინებათ, რომ სამეფო კლუბის გულშემატკივართა კერპი გახდით.

- ეს დროებითია. მომავალ წელს უმეტესობას აღარც ვემახსოვრები. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ სხვებზე მეტი არაფერი გამიკეთებია. კამენი დაუჯერებელ ბურთებს იგერიებდა. ტარაგონი დაცვაში თავგანწირვით იბრძოდა. დე ლა პენია საოცარ პასებს მაწვდიდა. მოკლედ, მთელმა გუნდმა იყო ჩაღა. ბიჭების დახმარების გარეშე ერთ გოლსაც ვერ გავიტანდი.

- შვებულება უკვე დაგეგმეთ?

- რა თქმა უნდა.

- რა აირჩიეთ, ზღვა, თუ მთა?

- ორივე. დიდი იმედი მაქვს, რომ კარგად დავისვენებ. წლეულს ძალიან დავიღალე. შვებულება ჰაერივით მჭირდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კარლ ჰაინც რუმენიგესთან

მჯერა, კლოზე ახლავე გადმოვა

ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი ადასტურებს: მიროს ტრანსფერის შემთხვევაში მაკაი გაიყიდება...

"ბაიერნის" ხელმძღვანელების კაბინეტში უდიდესი თვითკმაყოფილებაა - ლუკა ტონისა და ფრანკ რიბერის ტრანსფერების გაჩარხვის შემდეგ, რეკორდმაისტერის შეფები ინტერვიუებს დიდი სიამოვნებით იძლევიან, თავს იქებენ და ახალშეძენილი ფეხბურთელებით ამაყობენ. ამჯერად გთავაზობთ გაზეთ "მერკურ ონლაინში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგესთან, რომელიც დარწმუნებულია, რომ მიუნხენური გრანდის ამ შემადგენლობას აგვისტოს ბოლომდე მიროსლავ კლოზეც დაემატება.

კარლ ჰაინც რუმენიგე

- ჰერ რუმენიგე, "ბაიერნი" ახალ სეზონს სახეშეცვლილი გუნდით დაიწყებს. ფაქტია, რომ 2007/08 წლების სეზონში სულ სხვა რეკორდმაისტერს ვიხილავთ. ამასთან, ოტმარ ჰიტცფელდი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას, წნეხიც უმძიმესია...

- განა, ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ჰიტცფელდი ამ ურთულეს ამოცანას თავს ჩინებულად გაართმევს? პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ჰიტცფელდია ის კაცი, ვინც ახალ "ბაიერნს" ახალი სიმაღლეები უნდა დააპყრობინოს. შვიდი ახალწვეული გვყავს, თუ მიროსლავ კლოზეც გადმოვა, გამოდის, რომ 8 ფეხბურთელი დავიმატეთ. ამდენი ახალწვეულის გუნდში ჯეროვნად ინტეგრირება არც ისე იოლია, მაგრამ ჰიტცფელდი ძალიან ძლიერი პიროვნება და მწვრთნელია. ჩვენ მისი გვჯერა.

- კლოზეს ტრანსფერი ახსენეთ და ბარემ აქვე კონკრეტულად გვითხარით, რას გულისხმობთ. რა ხდება მიროს ტრანსფერის გარშემო?

- ჩვენ, "ბაიერნის" ხელმძღვანელებს, ამ მხრივ მოთმინება გვმართებს. ორი კვირის წინათ ბრემენულ კლუბს ძალიან კარგი წინადადებით მივმართეთ - "ვერდერს" მიროს სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შევთავაზეთ. მაგრამ კლაუს ალოფსმა ეს წინადადება იუარა და გვითხრა, პოდოლსკი დამითმეთო, ეს კი უკვე ჩვენ არ გვაწყობდა. პოლდის გასხვისებას არ ვაპირებთ! ანუ, ახლა ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალი ლოდინია. სიმართლე ითქვას, ახლა უკვე კლოზე და "ვერდერი" უნდა შეთანხმდნენ. მთავარი ის არის, რომ მიროს "ბაიერნში" გადმოსვლა უნდა, რის გამოც ძალიან გახარებულები ვართ. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ კლოზე ამ ზაფხულშივე გადმოვა. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ბრემენული კლუბი ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ კიდევ ერთი წლით დაიტოვოს ფეხბურთელი, რომელსაც გუნდიდან წასვლა უნდა. თანაც, გაისად მირო უკვე უფასო იქნება. მოკლედ, "ბაიერნი" ორივე შემთხვევაში მოგებული რჩება. "ვერდერმა" კი უნდა გადაწყვიტოს, ახლავე დაგვითმოს, თუ გაისად. ვფიქრობ, ბრემენელთათვის უპრიანი იქნებოდა, რომ კლოზე ახლავე მოგვყიდონ. და მჯერა, ასეც მოხდება.

- რა ვადა მიეცით ჰიტცფელდს იმისთვის, რომ ყველაფერი მოაგვაროს?

- მთელი მომდევნო სეზონი!

- და რა იქნება "ბაიერნის" უმთავრესი მიზანი? რა შემთხვევაში დარჩებით კმაყოფილი?

- ცხადია, უპირველესი მიზანი გერმანიის ჩემპიონობა იქნება. და რა თქმა უნდა, უეფას თასზეც უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძოლებთ, ისევე, როგორც გერმანიის თასზე. ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად ყველა წინაპირობა შექმნილია იმისთვის, რომ ჩვენმა გუნდმა მომდევნო სეზონში ჰეთ-თრიკი შეასრულოს. ეს აუცილებელია!

- თქვენ და ული ჰოინესს გაჩარხული ტრანსფერები არ დაგენუნებათ, სულაც პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავად მუშაობთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ არ ჩავთვლით ფლანგის უკანახაზელ მარსელ იანსენს, დაცვა არ გაგიძლიერებიათ...

- აბსოლუტურად ყველა ტრანსფერი ჰიტცფელდთან იყო შეთანხმებული. მის გარეშე ჩვენ არც არავის გავყიდით და არც არავის ვიყიდით. ეს დიდი სისულელე იქნებოდა. ოტმარმა გვითრა, რომ მცველის ყიდვა არც ისე აუცილებელია, როგორც ფლანგის ნახევარმცველებისა და ფორვარდების. შესაბამისად, ჩვენც ისე ვიმოქმედეთ, როგორც მას სურდა.

- ჰიტცფელდს კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. საკმარისია თუ არა ეს დრო და ვინ შეცვლის მას?

- ჩვენ შევთანხმდით იმის შესახებ, რომ ზამთრამდე მწვრთნელის საკითხს არ შევეხებით. ეს თვითონ ჰიტცფელდის სურვილი იყო. ზამთარში კი ყველანი მაგიდას შემოვუსხდებით და დავილაპარაკებთ, რა და როგორ მოვიმოქმედოთ.

- როკე სანტა კრუსი და მისი თანამემამულე ხულიო დოს სანტოსი, რომლებიც თავის დროზე დიდი ზარზეიმით შეიძინეთ, "ბაიერნს" არაფერში გამოადგნენ. რა ბედი ელით ამ ფეხბურთელებს?

- როკეს უკვე ველაპარაკე და მივეცი იმის უფლება, რომ გუნდიდან წავიდეს. მასაც დიდი სურვილი აქვს, რომ კარიერა სადმე სხვაგან გააგრძელოს, მაგრამ უნდა გამოჩნდეს ისეთი გუნდი, რომელიც მის სანაცვლოდ ფულს გადაიხდის. თუკი სანტა კრუსის მრჩეველი ასეთ გუნდს იპოვის, სიამოვნებით გავყიდით და გზას დავულოცავთ. პრობლემა არ არსებობს - როკეს 31 აგვისტომდე აქვს ვადა, რომ გუნდი იპოვოს. თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ სანტა კრუსი ჩვენთან დარჩება. რაც შეეხება დოს სანტოსს - ვფიქრობ, მას ისევ გავანათხოვრებთ.

- კვლავ "ვოლფსბურგში"?

- არა, ამჯერად სხვაგან.

- ცნობილია, რომ "ვოლფსბურგს", სადაც ცოტა ხნის წინათ ფელიქს მაგათი დაინიშნა, "ბაიერნის" ფეხბურთელების გადაბირება სურს - კერძოდ, კრისტიან ლელის, ანდრეას ოტლისა და ანდრეას გიორლიტცის...

- საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ჩვენ "ფოლკსვაგენის" შეფ ვინტერკორნთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ცხადია, კარგი ურთიერთობა გვაქვს მაგათთანაც. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

- თუ კლოზე მოვა, მაკაი წავა?

- დიახ! როიმ გვთხოვა, თუ კლოზეს იყიდით, მე გამყიდეთო. ასეთი წინადადება ჩემთვის სავსებით მისაღებია. თუ მიროს შევიძენთ, მაკაის თბილად დავშორდებით - მან "ბაიერნისთვის" ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

- ამბობენ, "ბაიერნს" დანიელ ვან ბუიტენის გაყიდვა სურსო...

- სისულელეა! ვან ბუიტენის გასხვისებაზე არ ვფიქრობთ.

გოტფრიდ ლენცი

არაგონესი ბარსელონას ქომაგობს

ლუის არაგონესი ბარსელონაში საავტომობილო გამოფენის რეკლამირებისთვის დაპატიჟეს. ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა კატალონიის დედაქალაქში ყოფნით ისარგებლა და პრიმერა დივიზიონში შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა: *"ძალიან მინდა, ჩემპიონი "ბარსა" გახდეს. მართალია, "რეალი" ფავორიტია, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმას, ვინც ფიქრობს, რომ სამეფო კლუბს გამარჯვება გარანტირებული აქვს. "მალიორკა" არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. მას საკმაოდ დიდი ხანი ვავარჯიშებდი და ვიცი, რისი უნარი შესწევს. რაც მთავარია, სტატისტიკა კუნძულელთა სასარგებლოდ მეტყველებს. ბალეარელებს ზედიზედ ხუთი წელიწადია, "სანტიაგო ბერნაბეუზე" არ წაუგიათ. გრეგორიო მანსანოს ამ კლუბთან ერთად მადრიდში ერთი თამაში მოგებულიც აქვს. ასე რომ, ჯერაც არაფერია გარკვეული."*

ალბათ, ბევრს გაუკვირდება, რატომ გამოხატა არაგონესმა "ბარსელონისადმი" სიმპათია. საქმე ის არის, რომ სენიორ ლუისი მრავალი წლის წინათ კატალონიური გრანდის დამრიგებლად მუშაობდა და მასთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებს. სხვათა შორის, "სელექსიონის" თავკაცს "კამპ ნოუ" უტიტულოდ არ დაუტოვებია. 1988 წელს მან "ბარსას" ესპანეთის თასი მოაგებინა.

ალემანია ბუხვალდმა ჩაიბარა

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული "ალემანიის" მთავარ მწვრთნელად 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **გვიდო ბუხვალდი** დაინიშნა. აახენური კლუბის ხელმძღვანელებმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ბუხვალდმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. *"ძალიან მოტივირებული ვარ. მიხარია, რომ ყველაფერი მალე მოგვარდა. იმედი მაქვს, რომ "ალემანიას" ბუნდესლიგაში დავაბრუნებ,"* - განაცხადა ბუხვალდმა. აღსანიშნავია, რომ "ალემანია" ბუხვალდის სამწვრთნელო კარიერაში პირველი გერმანული კლუბია. გვიდომ **მიხაელ ფრონტცეკი** შეცვალა. შეგახსენებთ, რომ ბუხვალდი 2004-დან 2006 წლამდე იაპონიაში მუშაობდა, სადაც "ურავა რედ დაიმონდსს" წვრთნიდა, გუნდს, სადაც აქტიური სპორტული კარიერის დროს თამაშობდა (127 მატჩი ჯეი ლიგაში). გვიდომ "ურავას" ორჯერ იაპონიის თასი მოაგებინა, ერთხელ კი ჩემპიონობა. 2006 წელს ის იაპონიის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

ლიოვი ახალ კონტრაქტზე ჯერ არ ფიქრობს

იმის გამო, რომ გერმანიის ნაკრები **იოახიმ ლიოვის** ხელში ძალიან წარმატებულია, ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესმწვრთნელს კონტრაქტი ახლავე უნდა გაუგრძელოს. როგორც იცით, ლიოვს ხელშეკრულება 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე აქვს გაფორმებული. რამდენიმე დღის წინათ თვით **ფრანც ბეკენბაუერმაც** კი განაცხადა, იოგის კონტრაქტი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავუგრძელოთო, მაგრამ თვითონ მწვრთნელი ამაზე ჯერ არ ფიქრობს.

"ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ გერმანიის ნაკრებმა იმ გზით იაროს, რომელიც 2004 წელს, მე და იურგენ კლინსმანმა ავირჩიეთ. როგორც ხედავთ, ეს გზა მართებული აღმოჩნდა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება გერმანიის მწვრთნელი ევროპის 2008 წლის ჩემიონატის შემდეგ. მთავარია, რომ ამ გზას არ გადავუხვიოთ. სიმართლე გითხრათ, ახლა ახალ ხელშეკრულებაზე არ ვფიქრობ და შესაბამისად, ეს თემა ჩემთვის უინტერესოა," - აცხადებს ლიოვი.

რიკენი: ბორუსიიდან ბორუსიაში?

დორტმუნდის "ბორუსიაში" ათვალწუნებული **ლარს რიკენის** შეძენა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული "მიონხენგლადბახის" "ბორუსიის" ხელმძღვანელებმა მოისურვეს. როგორც იცით, 30 წლის ნახევარმცველი დორტმუნდული კლუბის განაცხადში ვეღარ ხვდება - აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც რიკენი BVB-ს მოყვარულთა რიგებში (რეგიონალიგა) თამაშობს. მეტიც, "ბორუსიის" შეფები მზად არიან, რიკენი სულაც უფასოდ დათმონ (მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი ჯერ არ უმთავრდება), თუკი მას მთხოვნელი გამოუჩნდება. "კიკერის" ინფორმაციით, რიკენის გადაბირების სურვილი "გლადბახმა" გამოთქვა.

წაიყვანს მაგათი პელდგს?

დღეს, **ფელიქს მაგათს** "ვოლფსბურგის" მენეჯერად (ინგლისურ სტილში, ანუ, ერთდროულად მენეჯერიცაა და მწვრთნელიც) ოფიციალურად წარადგენენ. როგორც იცით, "ბაიერნის" ყოფილი დამრიგებელი "მგლების" თავკაცად ერთი თვის წინათ დაინიშნა, წარდგენა კი დღესაა დაგეგმილი, რის შემდეგაც "დესპოტი ფელიქსი" ახალ სამსახურს შეუდგება. "შტუტგარტერ ცაიტუნგი" გვამცნობს, რომ მაგათს "ვოლფსბურგში" "შტუტგარტის" მენეჯერის, **ჰორსტ ჰელდტის** ნაყვანა სურს. ამ უკანასკნელს შვაბური კლუბის პრეზიდენტ **ერვინ შტაუდტთან** მცირე სკანდალი აქვს და სულაც არაა გამორიცხული, რომ VFB-ს ჩემპიონობის ერთ-ერთმა უმთავრესმა შემოქმედმა გუნდი დატოვოს. საქმე ისაა, რომ შტაუდტი ჰელდტან კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს, ეს უკანასკნელი კი ამაოდ ელის პრეზიდენტის შეთავაზებას. ამ ყველაფრის გამო, "შტუტგარტში" დაძაბული მდგომარეობაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** ჰელდტის მეგობარი და თანამოაზრეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ჰორსტი "შტუტგარტიდან" წავა, გუნდში არც ფეე დარჩება, კაცი, რომელმაც შვაბური კლუბი სენსაციურად გააჩემპიონა. მაგათმა კი დრო იხელთა და ჰელდტს, რომელიც თავის დროზე "შტუტგარტში" მიიყვანა, თავისთან, "ვოლფსბურგის" სპორტული დირექტორის პოსტზე უხმობს.

სელტა: სიმბოლურ ფასად ბალაიდოსზე

"სელტა" პრიმერა დივიზიონში დასარჩენად გადამწყვეტი ბრძოლის გასამართად ემზადება. გასულ ტურში "ვისენტე კალდერონზე" "ატლეტიკოსთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ გალისიელებს იმედი გაუღვივა. მათ სჯერათ, რომ განწირულები არ არიან. აქვე გეტყვით, "სელტა" მხოლოდ საკუთარ თავზე არ არის დამოკიდებული. იმისთვის, რომ ვიგოელები გადარჩნენ, "ბილბაომ" არ უნდა მოიგოს. გალისიური კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელების გასამხნევებლად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. "ხეტაფესთან" მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი სიმბოლურ თანხად, სულ რაღაც 2 ევროდ გაიყიდება. ჩანაფიქრის მიზანი იოლი მისახვედრია. დირექტორთა საბჭოს წევრებს იმედი აქვთ, პირთამდე გადაჭედილი "ბალაიდოსი," ეგრეთ წოდებული, მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას შეასრულებს და გუნდს "ხეტაფეს" დამარცხებაში დაეხმარება.

მანჩესტერ იუნაიტედი

ორი მილიონი რეალისაგან

ეშმაკებს ტრანსფერები ჯერ არ დასრულებიათ

თუ "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდება, "მანჩესტერ იუნაიტედს" 2 მილიონ გირვანქას გადაუხდის. ამ პირობას **დევიდ ბექჰემისა** და **რუუდ ვან ნისტელროის** კონტრაქტები ითვალისწინებს. ბექჰემი ესპანურ ტიტულს ოთხი წელია, უშედეგოდ ელოდება. ვან ნისტელროის კი პირველსავე წელს შეუძლია, ოქროს მედლის დასაკუთრება. სხვათა შორის, ჰოლანდიელი თავდამსხმელის გამო, "რეალს" ისედაც მოუწევდა ერთი მილიონის დამატება: ვან ნისტელროი პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი ხდება. მისი კონტრაქტი მილიონის დამატებას ამ შემთხვევაშიც გულისხმობდა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე რუუდის ანგარიშზე 25 გოლია. უახლოესი მდევარი, სარაგოსელი **დიეგო მილიტო** მას სამი ბურთით ჩამორჩება.

"მანჩესტერ იუნაიტედს" საზაფხულო ტრანსფერები არ დაუსრულებია. "ეშმაკებმა" 48 მილიონ გირვანქად **ნანი, ანდერსონი** და **ოუენ ჰარგრივსი** შეიძინეს. ახლა კი ძლიერი ფორვარდის ყიდვა სურთ. **სერ ალექს ფერგიუსონის** ფავორიტები ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვი**, ატლეტიკოელი **ფერნანდო ტორესი** და ბოლტონელი **ნიკოლა ანელკა** არიან. "იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი** რამდენიმე ფეხბურთელის აბარგებასაც წინასწარმეტყველებს: *"ცვლილებები გარდაუვალია. ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემადგენლობა გვყავს. აუცილებლად იქნებიან ისეთები, რომელთაც ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევთ."*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა GEORGIA

ჭადრაკი | მაია ჩიბურდანიძის თასი

ნიგალიძე-ჭილლაძე

მეშვიდე ტურში უმთავრესი ყურადღება პირველი დაფისკენ იყო მიპყრობილი, სადაც **ივერი ჭილლაძე** თეთრებით ერთპიროვნულ ლიდერს, **გიგა ყუფარაძეს** ხვდებოდა. ჭილლაძემ გაიმარჯვა და **გაიოზ ნიგალიძესთან** ერთად სათავეში ჩაუდგა ტურნირს.

ნიგალიძემ გუშინ დიდოსტატი **გიორგი ბაღათუროვი** დაამარცხა თეთრებით. ბაღათუროვი ტურნირს კარგ ფორმაში შეხვდა და წაუგებლად მიდიოდა, თუმც ამჯერად ახალგაზრდა და ხალას ნიჭთან ვერაფერი გაანყო და ლიდერთა ჯგუფს ოდნავ ჩამორჩა - გიორგის 5 ქულა აქვს; ჭილლაძესა და ნიგალიძეს - 6. 5.5 ქულა ხუთ მოჭადრაკეს აქვს და ოთხი მათგანისგან ასეთი შედეგიანობა არ არის გასაკვირი, მაგრამ მეხუთესი კი - ნამდვილად სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს, თანაც სასიამოვნოდ - **ინგა ჭარხალაშვილმა** შეძლო ლიდერთა მარაქაში გარევა და ეს დიდოსტატ **ვალერიან გაფრინდაშვილის** დამარცხებით შეძლო. მართალია ინგა თეთრებით თამაშობდა, მაგრამ ძლიერ მეტოქესთან ფერი წარმატების გარანტია არ იყო, თუმც მაინც იმარჯვა და ქალთა შორის ხომ ლიდერობს, კარგი შანსი აქვს, საერთოდ ტურნირის გამარჯვებული გახდეს...

დღეს, ბოლოსწინა ტურში, ლიდერთა პარტიაა - ივერი ჭილლაძე თეთრებით ეთამაშება გაიოზ ნიგალიძეს. ნიგალიძემ 2007 წლის თებერვლიდან, საც კი ითამაშა, ყველგან წარმატებით. რეიტინგში კი დაახლოებით 200 (!) პუნქტით მოიმატა. რომ არა მესამე ტურში დასანანი მარცხი **ბეგლარ ჯობავასგან**, სადაც დიდ უპირატესობას ფლობდა და უხეში შეცდომის გამო წააგო, დღეს უნიკალური შედეგი ექნებოდა - 7-დან 7 ქულა.

ქალთა შორის პირველობაზე ვთქვით და ჭარხალაშვილის ამ ნომინაციაში რამდენიმე მოცილე ჰყავს. ორი მათგანი - **მაია ლომინეიშვილი** და **სოფიკო გურამიშვილი** ერთმანეთს ხვდებოდა. ორივეს 4 ქულა ჰქონდა და ნახევრით ჩამოჩრებოდნენ ინგას. პარტია დიდოსტატმა ლომინეიშვილმა მოიგო და კვალში ჩაუდგა ჭარხალაშვილს. 5 ქულის დაგროვება შეძლო **სალომე მელიამაც**, რომელმაც შავებით თანაქალაქელი, ბათუმელი **ნოდარ ლორთქიფანიძე** დაამარცხა. 5 ქულა კიდევ ერთ ქალს - **თამარ წერეთელს** აქვს - თამარმა თეთრებით **შოთა აზალაძე** დაამარცხა. წერეთელი და ლომინეიშვილი დღეს თამაშობენ, თეთრებით წერეთელია. საერთოდ, იგი ლომინეიშვილისთვის უხერხული მეტოქეა - წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატში ბოლო ტურში დაამარცხა.

რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს ჭარხალაშვილის პარტია ტურნირის მთავარ ფავორიტ **ლევან ფანცულაიასთან.** ლევანმა ტურნირი მხნედ ვერ დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურებში შეძლო ძალების მოკრება და ცხრილის

გიგა ყუფარაძე-ივერი ჭილლაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თავში აინაცვლა, ისევე რორგორც **დავით არუთინიანმა**. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **თორნიკე სანიკიძემ** - დიდოსტატ **მიხეილ კეკელიძეს** მოუგო თეთრებით.

მერვე ტურის შემდეგ, ეჭვი არ არის, არაფერი არ გაირკვევა - ყველა კითხვას პასუხს ბოლო ტური გასცემს.

მერვე ტურში: ივერი ჭილლაძე (6) - გაიოზ ნიგალიძე (6); ლევან ფანცულაია (5,5) - ინგა ჭარხალაშვილი (5,5); გიგა ყუფარაძე (5,5) - დავიდ არუთინიანი (5,5); თამაზ მგელაძე (5) - თორნიკე სანიკიძე (5,5); გიორგი ბაღათუროვი (5) - სალომე მელია (5); თამარ წერეთელი (5) - მაია ლომინეიშვილი (5); მიხეილ კეკელიძე (5) - ლევან ბრეგაძე (5); მალხაზ სულაშვილი (4,5) - ბეგლარ ჯობავა (4,5); ნინო ბაციაცაშვილი (4,5) - ბაჩანა მორჩიაშვილი (4,5); ილლარ ბაჯარანი (4,5) - ლუკა პაიჭაძე (4,5); სოფიკო ნიკოლაძე (4) - ლევან არაშიძე (4); ვალერიან გაფრინდაშვილი (4) - ნიკოლოზ ჩხაიძე (4); ირაკლი ჯანიაშვილი (4) - ხვიჩა სუპატაშვილი (4); არნოლდ მინასიანი (4) - ნანა ძაგნიძე (4); დავით ზარქუა (4) - სოფიკო გურამიშვილი (4); შოთა აზალაძე (4) - ანა გავაშელი (4); ანა ბუცხრიკიძე (4) - მაკა ფურცელაძე (4); დავით ლომსაძე (4) - ჰარმენ გელაზონია (4); ნოდარ ლორთქიფანიძე (4) - ალექსი ტერკარაპეტიანი (4); სალომე ხაჟომია (3,5) - დავით მაღალაშვილი (3,5).

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

ლადო ბრუნდება

გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში იწყება საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია. ტურნირის ძირითად ბადეში თამაშობს **ლადო ჩიხლაძე** (477). საქართველოს მეორე ჩოგანს უკვე თვეზე მეტია, ტრავმის გამო არსად უთამაშია. ლადო პირველ წრეში იამაიკელ **დასტინ ბრაუნს** (499) შეხვდება. სხვათა შორის, დასტინ ბრაუნს ლადო აქამდე ოთხჯერ შეხვედრია (1:3 ურთიერთშეხვედრებში), მათ ხშირად წყვილთა თანრიგში ერთად უთამაშიათ.

ითონიშვილი ძირითად ბადეშია

მესამე და სამართალიო, ნათქვამია და 19 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა **ნოდარ ითონიშვილმაც** უკრაინაში მიმდინარე ფიუჩერსის სერიის მესამე ტურნირზე მოახერხა ძირითად ბადეში გაღწევა, აქამდე მას ორი ცდა საკვალიფიკაციო ბადის ფინალურ ეტაპზე გაუცუდდა (თუმცა ერთხელ "იღბლიანი ნაგებულის" სტატუსით მაინც მოხვდა ძირითად ბადეში). ნოდარი ფინალურ ნრეში უკრაინელ **იგორ ნიკიტინს** ხვდებოდა და მას ორ სეტში აჯობა - 6:0, 7:6 (4). ითონიშვილი მესამე ქართველია, რომელიც მსოფლიო რეიტინგ-ლისტშია, თუმცა ის ჯერ ათასეულს მიღმაა (1332). უკრაინულ ჩერკასიში ნოდარი მე-4 ნომრად განთესეს საკვალიფიკაციო ტურნირში. ძირითად ბადეში ითონიშვილს მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ალექსანდრ იარმოლა** (766) გამოცდის. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ იარმოლამ ითონიშვილს ორ სეტში იოლად მოუგო. წყვილთა თანრიგში ნოდარ ითონიშვილი **გიორგი ხრიკაძესთან** დუეტში ძირითად ბადეშია.

ვერ ამართლებენ

ამერიკის ქალაქ ალენთაუნში 25-ათასიან ტურნირში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაასრულეს ასპარეზობა **სალომე დევიძემ** და **სოფიო მელიქიშვილმა**. სალომე დევიძე (535) პირველ ნომრად იყო განთესილი და მიუხედავად ამისა, ამერიკელ **კიმბერლი კოუტსთან** (780) ორ სეტში დამარცხდა - 3:6, 4:6. მელიქიშვილი (642) მე-7 ნომრად იყო განთესილი მასაც ამერიკელმა აჯობა, 15 წლის **ეიშა მუჰამედმა** (792) - 6:4, 4:6, 3:6 ბოლო დროს ქართველთა შედეგები უარესდება. სალომე დევიძე ერთ დროს მსოფლიოს 254-ე ჩოგანი იყო, სოფიო მელიქიშვილი კი - 259-ე.

ოქსანამ 25 დაიბრუნა

16 წლის **ოქსანა კალამნიკოვა** 18-წლამდელთა რეიტინგ-ლისტში 25-ე საფეხურზე ავიდა, რაც მისი კარიერის საუკეთესო შედეგის გამეორებაა. ოქსანა სექტემბერში 17 წლის ხდება, წესით, მას კიდევ ორი სეზონზე მეტი შეუძლია ახალგაზრდულ ტურნირებში ითამაშოს, თუმცა ის, ალბათ, მომავალი წლიდან მთლიანად პროფესიონალებში გადავა, სადაც უკვე მსოფლიოს 785-ე ჩოგანია. სამწუხაროდ, 18-წლამდელთა რეიტინგის ხუთასეულში მეტი ქართველი გოგონა არ არის. ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილმა** სამი საფეხურით უკან დაიხია (მას როლან გაროსზე არ უთამაშია) და მსოფლიოს 52-ე ჩოგანია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხელბურთი

ნორვეგია, ევროთასები, ნაკრები...

ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციას დასასვენებლად არ სცხელა და ერობაშად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის. აქეთ ნორვეგიაში გასამგზავრებელი ჭაბუკთა გუნდი, იქით - ეროვნულ ნაკრებზე, კლუბებზე თუ კავკასიის ლიგის პროექტზე მუშაობა. მოდით, ცალკ-ცალკე ვისაუბროთ ქართული ხელბურთის სიახლეებზე.

შესანიშნავი შვიდეულის ძიებაში

ნორვეგიულ-ქართული პროგრამის ფარგლებში მალე ჩვენი შვიდკაციანი გუნდი სკანდინავიას ეწვევა. კონკრეტულად, ნორვეგიაში გასამართი "ტალანტების ფესტივალზე", დაპატიჟებულია 1992-93 წლებში დაბადებული ქართველი ჭაბუკების შვიდკაციანი გუნდი. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს ცნობილი სპეციალისტი **ვახტანგ ბერიაშვილი**, რომელსაც დაეხმარებიან "თბილისის" მთავარი მწვრთნელი **მამუკა მჟავანაძე** და ეროვნული ნაკრების კაპიტანი **გიორგი ქობელაშვილი.**

ამჟამად, აღნიშნულ სამეულს სტუ-ს ბაზაზე ჰყავს დაბანაკებული საქართველოს პირველობიდან არჩეული 16 საუკეთესო ხელბურთელი. გაფართოებულ შემადგენლობაში, თბილისელთა გარდა, არიან რუსთაველი, ყვარელი, გორელი, ფოთელი, სამტრედიელი და ქუთაისელი ჭაბუკები. საბოლოოდ, აქედან უნდა შეირჩეს 7 საუკეთესო.

სკანდინავიური "ტალანტების ფესტივალი" დაახლოებით ისეთი სტილის ღონისძიებაა, როგორიცაა საკალათბურთო კემპი. იქ თითოეული ჩვენი ხელბურთელი მიიღებს მონაწილეობას საკუთარ ამპლუაში საუკეთესოს გამოსავლენ კონკურსში, გაიცნობენ უცხოელ თანატოლებს, ეზიარებიან თანამედროვე ხელბურთის ელემენტებს და ასე შემდეგ.

ქართველი ჭაბუკები ნორვეგიაში გაემგზავრებიან 24 ივნისს და იქ ერთ კვირას დაყოფენ.

ევროთასები

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუ-"თელავის" შემდეგ, ევროთასებზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვა "თბილისმაც". როგორც გუშინ საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, "თბილისმა" უკვე შეიტანა ოფიციალური დასტური ევროთასებზე გასვლის შესახებ. ჩემპიონიც და ვიცეჩემპიონიც იასპარეზებენ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე. მათი მეტოქეების ვინაობა 27 ივნისს გაირკვევა, როდესაც ევროპული ხელბურთის შეფები წილისყრას ჩაატარებენ. ქვეყნის 17-გზის ჩემპიონებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, კვლავ ყველა მატჩს სტუმრად ჩაატარებენ თუ გატეხავენ ნავსს და შინაც ითამაშებენ. აი, "თბილისი" ნავსის გატეხვას აპირებს და თუ ასე მოხდება, ქართველი გულშემატკივარი ესოდენ მონატრებულ ევროთასების მატჩს ცოცხლად ნახავს.

ეროვნული ნაკრები

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, ეროვნული ნაკრები კონტინენტის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის იწყებს სამზადისს. საამისოდ პირველი დიდი ნაბიჯი უნდა გადაიდგას წლეულს ნოემბერში გასამართ "ჩელენჯ ტროფის" გათამაშებაზე, სადაც დაახლოებით ჩვენი დონის ან ჩვენზე ცოტა ძლიერი ქვეყნები გამოდიან ხოლმე. თუმცა საქართველოს ნაკრების ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხი ჯერ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი. საქმე ის არის, რომ "ჩელენჯ ტროფიზე" მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თორმეტმა ქვეყანამ. ტურნირის ორგანიზატორები, ძირითადად, განიხილავენ ორ საკითხს. აქედან პირველი ის არის, რომ შეჯიბრება მთლიანად ერთ ქვეყანაში (შოტლანდიაში) ჩატარდეს. ასეთი ვარიანტი საქართველოს ხელბურთის ასოციაციას დიდად არ ხიბლავს.

უფრო მისაღები ის იქნება, თუკი 12 გუნდი ორ ქვეჯგუფად გადანაწილდება და ერთი ჯგუფის მატჩების მასპინძლობას საქართველოს მიანდობენ, ჯგუფების თითო-თითო ან ორ-ორი საუკეთესო კი საჩემპიონო შეხვედრებს სხვა ქვეყანაში გამართავენ. ასეთი ვარიანტი განიხილება და წესით, 17 ივნისამდე უნდა გადაწყდეს ყველაფერი. საქართველოს ნაკრების თბილისში თამაში ჩვენთვის ორმაგად მომგებიანი იქნება. ჯერ ერთი, ფინანსური თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელია და ამას გარდა, ხელბურთის პოპულარიზაციის საქმეშიც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მითუმეტეს, თუ ნაკრები წარმატებით ითამაშებს.

კავკასიის ლიგა

ახლახან, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ, დიდი ხნის წინათ მოფიქრებული იდეის განხორციელებაზე მუშაობა დაიწყო. საქმე ეხება სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთობლივი ტურნირის ჩატარებას, რომელსაც დაერქმევა "კავკასიის ლიგა". თვის ბოლომდე, საკითხს საბოლოოდ დაესმება წერტილი. მალე გვესტუმრებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელბურთის ფედერაციების გენერალურ მდივნები და სწორედ მათი სტუმრობის შემდეგ გადაწყდება ყველაფერი. "კავკასიის ლიგაზე" პრიორიტეტული იქნება საქართველო-აზერბაიჯანის ორ-ორი და სომხეთის ერთი კლუბის თავმოყრა. შეჯიბრების პარალელურად, იდეაშია ამ კლუბების ახალგაზრდული გუნდების პირველობის გამართვაც. თუ შეთანხმება არ შედგა, წლეულს უკიდურეს ვარიანტად განიხილება "კავკასიის ლიგის" ჩატარება ჭაბუკთა გუნდებს შორის.

კობა ხატისაშვილი

თეატრი

ანდრია დადიანი. 1850, ზუგდიდი - 13.06.1910, კიევი (უკრაინა). ჭადრაკი. პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაში. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. სწავლობდა ცარსკოე სელოს პაჟთა კორპუსში, პაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1874 წლიდან მსახურობდა რუსეთის არმიაში, იყო გენერალ-ლეიტენანტი. 1895 წლიდან ცხოვრობდა კიევში, თამაშობდა არაოფიციალურ ტურნირებში, ამხანაგურ მატჩებში ხვდებოდა იმ დროის ცნობილ მოჭადრაკეებს (ალექსანდრ სოლოვცოვს, სერაფინო დიუბუას, ილია შუმოვს და სხვებს), მეგობრობდა ივან ტურგენევთან. აქტიურად მონაწილეობდა დიდი საჭადრაკო ტურნირების ორგანიზებაში)მათ შორის მონტე-კარლოსა და მილანში). მისი პარტიები იბეჭდებოდა რუსულ და ფრანგულ საჭადრაკო გამოცემებში. 1903 წელს კიევში ცალკე კრებულად გამოიცა "სამეგრელოს პრინცე დადიანის პარტიების დაბოლოებები".

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ცურვა

13-16 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი. ტექნიკური უნივერსიტეტის აუზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

რუბრიკა საქართველოს ჩემპიონატი

ფინალისტი და დებიუტანტი

დინამო-არმაზი 25:19

დინამო: (15-9) ჯეირანაშვილი, აგიაშვილი, გრძელიშვილი, შიოშვილი, ციბაძე, ღირსიაშვილი, კრეპსი; (1-8) გაგნიძე (გოგიშვილი 48), მურვანიძე, მოქია, მეიშვილი, ჭიჭინაძე, რამიშვილი (ანდრიასოვი 57), ხვიჩია, აზალაძე - *3ლ (აგიაშვილი, ჭიჭინაძე, აზალაძე); 2გ,2ს (ჯეირანაშვილი)*

არმაზი: (15-9) ჩხაიძე, ბადრი ურჯუკაშვილი, კაიფაჯიანი, გეთიაშვილი სბ (ძნელაძე 32), მინაშვილი, ბექა ურჯუკაშვილი, მჟავანაძე; (1-8). კიკოლაშვილი (ქართველიშვილი 35), მაჭარაძე, სოსელია, ჯიშკარიანი, ლიპარტელიანი (ღამბაშიძე 41), კანდელაკი, მელიქიძე, ცირეკიძე - *2ლ (სოსელია, ცირეკიძე), 3ს (ბექა ურჯუკაშვილი)*

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა "დინამომ" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. თამაშმა აჩვენა, რომ ორივე გუნდი დაახლოებით ერთი ძალისაა. "დინამომ" უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან მოგება უკეთესი სათამაშო დისციპლინის მეოხებით შეძლო.

პირველი თხუთმეტი წუთი ისე მიილია, გუნდებს ერთხელაც არ მისცემიათ ანგარიშის გახსნის შანსი. გააზრებული და შედეგიანი კომბინაცია "დინამომ" მე-16 წუთზე წამოიწყო. შერკინების მოთამაშეებმა მოკლე დარტყმებით ნელნელა მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწიეს. მერე **ნიკა კრეპსმა** ბურთი ხაზზე, მარცხნივ გრძელ ფრთაზე, **შალვა შიოშვილს** გაუტანა, ამანოდნავ წინწაინია და გარემარბ **ლევან აგიაშვილს** მიაწოდა. **ვასო ჯეირანაშვილმა** გარდასახა - 7:0.

ორ წუთში დინამოელთა მორიგი შეტევა ისევ ლელოთი დასრულდა. ამჯერად თავი მეორეხაზელმა **არჩილ ჭიჭინაძემ** გამოიჩინა, რომელიც უკანახაზელთა კომბინაციაში დროულად ჩაერთო. ჯეირანაშვილმა ისევ ზუსტად დაარტყა გარდასახვა - 14:0.

მეორე ლელომ არმაზელებზე დადებითი გავლენა იქონია. ისინი საგრძნობლად გააქტიურდნენ და ტაიმის მიწურულისკენ ანგარიშში სხვაობა სამამდე შეამცირეს - 11:14. ქულები "არმაზს" კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** ლელოთი, ხოლო **ბექა ურჯუკაშვილმა** ორი საჯარიმოთი მოუტანა.

დინამოელებმა 64-ე წუთისთვის ანგარიში სხვაობა 9 ქულამდე გაზარდეს - 20:11. ორი საჯარიმო ვასო ჯეირანაშვილის ანგარიშზეა. ამას არმაზელმა ბექა ურჯუკაშვილმა ორ წუთში საჯარიმოთივე უპასუხა - 14:20. ბოლო 10 წუთში გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს. ჯერ დინამოელმა **ლაშა აზალაძემ** იყოჩაღა 71-ე წუთზე, მერე **დავით ცირეკიძემ** გაიტანა საპასუხო ლელო 6 წუთში და თამაშიც "დინამოს" გამარჯვებით დასრულდა 25:19.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ფავორიტის მოგება

უნივერსიტეტი-ლელო 7:45

უნივერსიტეტი: (15-9) ფერაძე, ხუციშვილი (ნადარეიშვილი 41), ღვინჯილია, კოკვიძე, კავთიძე (გოგიშვილი 41), ნუცუბიძე, წიკლაური; (1-8) ალადაშვილი, კაკოვინი, დონაძე, გუჯარაიძე (მახარაშვილი 46), მჭედლიძე, კილასონია, დათუნაშვილი, დარასელია - *ლ (დონაძე) გ (წიკლაური)*

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია (ჯოგლიძე 65); (1-8) სხილაძე (ცხაკაია 61), ცხოვრებაშვილი, სანიკიძე, ჩიტიძე (კობეშავიძე 68), მაისურაძე, მძინარიშვილი, ჯამრულიძე, ახალაია - *5ლ (ცერცვაძე 2), ზაალიშვილი, ახალაია, თოდუა), 4გ,4ს (ყიასაშვილი)*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა "ლელომ" უმაღლესი ლიგის დებიუტანტი დიდი ანგარიშით 45:7 დაამარცხა.

პირველ ტაიმში უპირატესობა მთლიანად ლელოელების მხარეს იყო, რაც ანგარიშშიც ნათლად აისახა 18:0. ორივე ლელო გარემარბ **თორნიკე ცერცვაძის** ანგარიშზეა. უნდა აღინიშნოს 10 ნომერ **ლაშა ხმალაძის** წვლილი, რომლის მახვილგონივრული თამაშის წყალობით "ლელომ" პირველ ნახევარში მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

"უნივერსიტეტმა" ბოლომდე თავდადებით იბრძოლა, მეორე ტაიმის დასაწყისში ლელოელთა ერთადერთი შეცდომა კარგად გამოიყენა და ანგარიშიც შეამცირა - 7:18. ამის შემდეგ "ლელო" დაცვაში უფრო ყურადღებით ათამაშდა და კიდევ სამი ლელო მოითვალა, რასაც დამრტყმელმა **ირაკლი ყიასაშვილმა** ორი გარდასახვა და ორიც საჯარიმო მიაყოლა. ჯამში ირაკლიმ 20 ქულა დააგროვა.

ბესიკ ჯანგავაძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.ყოჩები	3	3	0	0	70:45	6
2.ლელო	3	2	0	1	119:51	4
3.ლოკომოტივი	2	2	0	0	74:22	4
4.დინამო	4	1	0	3	55:85	2
5.არმაზი	4	1	0	3	84:102	2
6.უნივერსიტეტი	4	1	0	3	50:118	2

ლელო, 19:00

ყოჩები-ლოკომოტივი

ჰაღათბურთი

ესტონეთის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ გიორგი ცინცაძე დასასვენებლად საქართველოში ჩამოვიდა და აქ აგრძელებს ტრავმირებული ფეხის მკურნალობას. მას ესტონურ და სამომავლო ამბებზე გუშინ ვესაუბრეთ.

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

როკი თუ გრანდი?

გიორგი ცინცაძე

- ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესი როგორ მიმდინარეობს?

- ტკივილი დამიცხრა. ახლა მხოლოდ მყესი მაქვს დაჭიმული და შესაბამის პროცედურებს ვიტარებ. იმედია, მალე მოვმჯობინდები. თუმცა ისე არ ვარ, რომ ვარჯიში ვერ შევძლო - დღეიდან მსუბუქ ვარჯიშებს შევუდგები და ტრავმის მოშუშებასთან ერთად დატვირთვებსაც მოვუმატებ.

- 18 ივლისამდე, მწყობრში იქნები.

- ამის იმედი მეც მაქვს. მინდა, ნაკრების შეკრებაზე დროულად და მომზადებული გამოვცხადდე.

- რადგან ტრავმაზე ვსაუბრობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, როგორ დაიზიანე ფეხი...

- დაიწერა, თითქოს "კალევთან" ჩემს თანაგუნდელს გადამწყვეტი სამქულიანი ზუსტი პასით მე ჩავაგდებინე. რეალურად საქმე ასე იყო - ერთი ქულის სხვაობით ვაგებდით და ბოლო იერიშის უფლება გვქონდა. ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ბურთი ჩემკენ გამოგზავნა. მე იგი გავატარე, რადგან უკან კუულმიაე მედგა. ის კი შესანიშნავი მტყორცნელია და გამარჯვების ქულები მოგვიტანა. გახარებულები გასახდელისკენ გავიქეცით. ტანელ ტეინი სარეკლამო დაფას გადაახტა, ვერ მოზომა, მე დამეჯახა და ტრავმა მომაყენა.

- ფინალური სერიის დაწყებამდე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ "კალევი" ოდნავ უკეთესი გუნდი იყო. თქვენ კი 4:2 დაამარცხეთ.

- დამაჯერებელი ანგარიშით მხოლოდ ერთი მატჩი მოვიგეთ. ყველა სხვა შემთხვევაში სხვაობა ერთ, ან ორ ქულას შეადგენდა. ასე რომ, თანაბარი ძალის მეტოქეები ვიყავით და გადამწყვეტ მომენტში ჩვენ ვიყოჩაღეთ.

- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს სეზონი შენს კარიერაში?

- ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ესტონეთის ჩემპიონი გავხდი. მართალია, ორი წლის წინათ ცსკა-ს მაისურით რუსეთშიც მოვიპოვე ოქროს მედალი, მაგრამ მაშინ სათადარიგო ვიყავი და იშვიათად ვთამაშობდი. ესტონეთის ჩემპიონობას სულ სხვა ფასი აქვს - მისთვის სხვებზე არანაკლები ოფლი დავღვარე. თუკი მხედველობაში არ მივიღებთ დეტალებს (ტრავმას, რიგ მატჩებში უნდობლობას), მიმაჩნია, რომ სეზონი წარმატებული იყო. ესტონეთში სათამაშოდ ჩავედი და წუთების ნაკლებობა ნამდვილად არ მიგრძვნია.

- "ტარტუ როკში" დარჩენას ხომ არ აპირებ?

- კლუბის ხელმძღვანელობას ყველაფერზე შევუთანხმდი, მაგრამ მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ხელშეკრულებაზე ხელი არ მომიწერია. "როკში" გაისადაც სიამოვნებით ვითამაშებდი.

- ფინალების მსვლელობისას მითხარი - თუ მწვრთნელი არ შეიცვალა, გუნდში არ დავრჩებიო...

- სეზონის დასრულებისთანავე მწვრთნელიც წავიდა და მის მიერ მოყვანილი ამერიკელი გამთამაშებელიც წაიყოლა. ასე რომ, ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ შეიცვალა. თან, რაც მთავარია, "ტარტუ როკი" გაისად ულების თასზე ითამაშებს. ევროლიგის შემდეგ ეს რიგით მეორე პრესტიჟული ტურნირია.

- კონტრაქტს ხელს როდის მოაწერ?

- ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად "როკში" დარჩენა 100 პროცენტით ჯერ არ გადამიწყვეტია, რადგან ახლახან ძლიერი კლუბის ვარიანტი გამომიჩნდა...

ვაჟა სიმონიშვილი

მეტოქეები

ავსტრია საქართველოს გზაზე

სხვა მეტოქეების მსგავსად ავსტრიელებმაც შეადგინეს საზაფხულო მზადების გეგმა, რომლის გადახედვის შემდეგაც დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათ საქართველოს ნაკრების ორი წლის წინანდელი გეგმა დააქსეროქსეს...

26 ივლისს იტალიის საკურორტო ქალაქ ბორმიოში ჩავლენ და ოთხგუნდიან საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, 31 ივლისს მასპინძელ იტალიელებს გაეჯიბრებიან, 2 აგვისტოს - ხორვატიას, ხოლო მესამე მეტოქის ვინაობა ჯერ გაურკვეველია (ან თურქეთი იქნება, ან ავსტრალია, ან სერბეთი).

გეხსომებათ, რომ 2005 წლის აგვისტოში საქართველოს ნაკრები ბორმიოს ტურნირის შემდეგ გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდა... იმავე გზას გაივლის წლეულს ავსტრია - ვენაში დაგეგმილ ტურნირზე ჯერ გერმანიას უმასპინძლებს, შემდეგ სლოვაკეთს. შეჯიბრება 10-12 აგვისტოს ჩატარდება. ავსტრიელებმა ესეც არ იკმარეს და ოფიციალური მატჩების წინ გენერალურ რეპეტიციას სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გაივლიან, სადაც ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. 21 აგვისტოს კი საპასუხისმგებლო შეხვედრა ელით ფინეთის წინააღმდეგ. მატჩი ავსტრიის ქალაქ გმუნდენში გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ავსტრიისას თბილისის სპორტის სასახლეში 25 აგვისტოს უმასპინძლებს.

ავსტრიელთა ერთ-ერთ სპორტულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა მათი ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, რომლის სრულად გაცნობა საჭიროდ არ მიგვაჩნია. იმას კი გეტყვით, რომ გუნდში 4 ლეგიონერია: ესპანეთის მეორელიგურ "ტარაგონაში" მოასპარეზე **მარტინ კოლმაიერი**, იტალიის სერია A-ს წარმომადგენელი **ბენიამინ ორტნერი** და ორიც ამერიკის კოლეჯების ლიგიდან - **კევინ პეიტონი** და **ალექსანდრ ნუნერი**.

გასული სეზონის შემდეგ ავსტრიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მოხდა ერთი ცვლილება: მთავარი მწვრთნელის **ჰუბერტ შრაინერის** თანაშემწედ დაინიშნა ხორვატული წარმოშობის **ზორან კოსტიჩი**.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

საქართველოს ნაკრების ყოფილი ამერიკელი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი ესპანეთში კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავიდა, სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა, მაგრამ მოულოდნელად ვალენსიადან ამერიკაში კონტრაქტზე ხელმოწერის დაუსმელად გადაფრინდა.

რატომ გაიქცა შემონდი?

მის ასეთ მოქმედებას "პამესა ვალენსიის" ხელმძღვანელები ახსნას ვერ უძებნიან, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ შემონდი შეიძლება სულ მალე ისევ დაბრუნდეს პირენეებზე.

ამერიკელი კალათბურთელის აგენტის თქმით, მას საბოლოოდ ჯერ არ გადაუწყვეტია ამერიკაში დარჩეს, თუ კარიერა ევროპაში გააგრძელოს. თუმცა ჩნდება ერთი შეკითხვა, თუ გარკვეული არ ჰქონდა, მაშინ ესპანეთში რა მიარბენინებდა...

შეიძლება მკითხველს ისიც გაუკვირდეს, საქართველოს ნაკრებიდან სამუდამოდ წასულ ამერიკელზე ჩვენს გაზეთში რატომ ვწერთ... საქმე ისაა, რომ შემონდის ესპანეთში ჩასვლას უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ ეგების, რადგან მან სხვა ნატურალიზებულებზე კარგად იცის საქართველოს ნაკრების ავ-კარგი. კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, უილიამსის ევროპაში დაბრუნების შემდეგ ნაკრებში მის დაბრუნებაზე დაფიქრება შეიძლებაო. თუმცა ისიც გადაწყვეტილია, რომ ამ ზაფხულს საქართველოს ეროვნული გუნდის ღირსებას შემონდის თანამემამულე ტაირონ ელისი დაიცავს. ფიბას წესდებით, კი ნაკრებში თამაში მხოლოდ ერთ ნატურალიზებულს შეუძლია.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესრელიზი

2007 წლის 1 სექტემბერს გასამართი ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მატჩი საქართველოსა და ფინეთის ნაკრებთა შორის, საქართველოსა და ფინეთის კალათბურთის ფედერაციათა შეთანხმებით, 2 სექტემბერს შედგება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-ცენტრი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სახალხო ბანკის გენერალურ დირექტორს, გიორგი გოგუაძეს მამის,

ვახტანგ გოგუაძის

გარდაცვალების გამო.

ექსპერტის აზრი

საუკეთესო მეფლეიოფეები

ჩარლზ ბარკლის აზრით, სან ანტონიოს ფინალური სერიის მოსაგებად 6 მატჩი დასჭირდება

სანამსუპერფინალები არ დასრულდება, პატივცემულო მკითხველო, ასეც და ისეც ამ სერიის გარშემო ვიტრიალებთ და ალბათ, იმდენი საინტერესოს გამოჩხრეკვა მოხერხდება, რომ არც თქვენ მოინყენთ და საწერი არც ჩვენ გამოგველევა.

დღეს "სპურსისა" და "კავალიერსის" სერიის ერთ-ერთ მონაწილეზე გავისაუბრებთ. რა ადგილი უჭირავს ყველა დროის უდიდეს მეფლეიოფეებში ტეხასელთა კაპიტან **ტიმ დანკანს?** ამაზე თავისი აზრი ტიმის თანაამპლუელმა, ყველა დროის ერთ-ერთმა უძლიერესმა ფორვარდმა და უიღბლოთა შორისაც კი გამორჩეულმა **ჩარლზ ბარკლიმ** გამოხატა. როგორც იცით, "ფილადელფიის", "ფინიქსისა" და "ჰიუსტონის" ყოფილი წევრი დღესდღეობით ოკეანისგაღმეთში გამორჩეული ანალიტიკოსია და მისი აზრიც დიდად ფასობს.

შედის თუ არა დანკანი ფლეი ოფის მატჩების მიხედვით, ყველა დროის 5 საუკეთესო კალათბურთელს შორის?

"ხუთეული არა, მაგრამ ათეული რეალურია. პირველი ადგილი ულაპარაკოდ მაიკლ ჯორდანს უნდა მივცე. რაც ამ კაცმა ფინალებში გააკეთა, ნორმალური ადამიანი ვერასოდეს შესნვდეშოდა და ალბათ, ვეღარც შესწვდება. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, გეუბნებით - მაიკლის შეჩერება გადამწყვეტ სერიაში წარმოუდგენელი იყო. ჯორდანი აკეთებდა ყველაფერს, რაც კი სურდა და თუ ხანდახან "ბულზი" მაინც აგებდა, ეს მისი ბრალი არ ყოფილა.

მერე მოდის მეჯიქი. არა, შეიძლება ლარი ბერდი. მოკლედ, შევთანხმდეთ, რომ მეორე-მესამე ადგილებზე მეჯიქსა და ლარის, ან თუ გსურთ, ლარისა და მეჯიქს დავაყენებ. ბერდმა ჯორდანსა და ჯონსონზე ნაკლები ჩემპიონობა მოიგო, მაგრამ მაშინდელი. "ბოსტონი" რომ ყველა დროის გამორჩეულ გუნდად იქცა, მხოლოდ და მხოლოდ, მისი დამსახურებაა. ბერდის გვერდით ყველა აუმჯობესებდა თამაშის ხარისხს. იგივეს თქმა მეჯიქზეც შეიძლება.

ტიმზე წინ დგანან ბილ რასელი, ჯერი უესტი და ქარიმ აბდულ-ჯაბარი. რამდენი გამოგვივიდა? ექვსი, არა? მოდით, ტიმის ერთი მოთამაშეც ვამჯობინოთ, მერე კი შევთანხმდეთ, რომ დანკანი ყველა დროის საუკეთესო მეფლეიოფეებში მერვე ადგილზე უნდა იყოს. ეს მოთამაშე უილტ ჩემბერლენია. მისი სტატისტიკა, გადამწყვეტ მომენტებში ლიდერობა და ისიც, რომ 50-ქულიანმა მონსტრმა ჩემპიონობას ბომბარდირობა და ლიდერობა შესწირა, ორმაგად დასაფასებელია. "ლეიკერსში" უილტი ჩემპიონი გახდა და ოცნება აიხდინა", - ამბობს ბარკლი.

სერ ჩარლზს არ უხსენებია **სკოტი პიპენი**, მაგრამ დანკანისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, "მისი უჰაერესობის" მარჯვენა ხელს, მაინც ტიმზე წინ დავაყენებდი. სკოტი მაიკლის იდეალური მეწყვილე და უძლიერესი გუნდური მოთამაშე და დამცველი იყო. დღეს, როდესაც მთელი საკალათბურთო სამყარო **ბრიუს ბოუენის** დაცვასა და მის ფენომენალურ ინსტინქტებზე საუბრობს, არავინ იხსენებს სკოტის დაცვას.

პიპენს ყველა ამპლუის მოთამაშის აყვანა შეეძლო და ამას ბრწყინვალედაც აკეთებდა. "ნიუ იორკთან" 1992 წლის სერიაში, სკოტი ხშირად იმ დეკადის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრის - **პატრიკ იუინგის** თამაშიდან გამოთიშვასაც კი ახერხებდა. "ფინიქსთან" ფინალში კი იგი მონაცვლეობით ხან თანაამპლუელ **დენ მარლის**, ხან მძიმე ფორვარდ ბარკლის და ხან გამთამაშებელ **კევინ ჯონონს** მეურვეობდა. ეს ისე, შედარებისთვის.

ბარკლიმ სერიის საბოლოო ანგარიშზეც ისაუბრა. მისი თქმით, "სპურსი" დაპირისპირებას 4:2 მოიგებს.

"კლივლენდი" გაიმარჯვებს მესამე შეხვედრაში (ეს მატჩი დღეს, გამთენიისას უნდა შემდგარიყო), მერე "სპურსი" თავის სასარგებლოდ მეოთხე შეხვედრას დაასრულებს და მეტოქეები მომდევნო ორ მატჩსაც გაცვლიან. ლებრონ ჯეიმსი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ეს მისი ფინალი არ არის. ჯეიმსი ჩემპიონობისთვის ჯერ ნორჩია, "სპურსი" კი მეოთხედ მოიგებს ფლეი ოფსა და ამის მერე ასპარეზზე სხვა გუნდები გამოვლენ", - მიაჩნია სერ ჩარლზს.

ვინ გახდება სერიის უძვირფასესი მოთამაშე? **ტონი პარკერი**, დანკანი თუ **მანუ ჯინობილი?**

"მაინც ტიმი. ტონი პარკერი და ჯინობილი ძალიან კარგ ფორმაში არიან, მაგრამ გასვლაზე მაინც დანკანის ფაქტორი იმუშავებს და ტიმი პარკერსა და ჯინობილიზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება", - ასრულებს საუბარს ბარკლი.

ზურაბ თალაკვაძე

ლებრონისთვის ჩემპიონობა ჯერ ნაადრევია

ტურნირები

ATP

Gerry Weber Open

ჰალე (გერმანია). ბალახი

საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

I რაუნდი

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3)-სემ კერი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 4)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:4, 7:6 (3); **მიხაილ იუჟნი (რუს, 6)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 6:2; **მარკოს ბალდატისი (კვიპ, 8)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:3, 6:3; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 7:6 (1); **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 3:6, 6:3, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 5:7, 6:3, 7:5.

The Artois Championships

ლონდონი (ინგლისი). ბალახი

საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

I რაუნდი

მაქს მირნი (ბლრ)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 16) 6:3, 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ, 15)**-რიჩარდ ბლუმფილდი (ბრიტ) 6:4: 6:2; **არნო კლემანი (საფ, 14)**-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 7:6(2), 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-დავიდე სანგინეტი (იტა) 6:2, 2:0 სანგინეტის უარი; **ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ)**-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 6:4, 6:4; **ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 3:6, 7:6(5), 6:3; **დანაი უდომჩოკე (ტაილ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:2, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 10) 7:5, 6:3; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:6(4), 6:4; **ხუან დელ პოტრო (არგ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:2, 6:4; **ნიკოლა მაუ (საფ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:4, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 12)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:7(5), 6:3; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:1, 6:1; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:3, 3:6, 6:1.

WTA

DFS Classic

ბირმინგემი (ინგლისი). ბალახი

საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

I რაუნდი

იულია ვაკულენკო (უკრ, 9)-ტიან ტიან სუნი(ჩინ) 6:2, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-ენ კრემერი (ლუქ) 6:1, 6:3; **მეილინ ტუ (13, აშშ)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:1, 6:2; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 14) 7:6 (5), 6:4; **ელენი დანილიდუ (საბ, 15)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:3, 7:6 (5); **მარია კირილენკო (რუს, 16)**-რაკელ კოპს-ჯონსი (აშშ) 6:3, 6:3; **ლილია ოსტერლო (აშშ)**-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 7:6 (7), 6:3; **ანდრეა კლეპაჩი (სლოვენ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 7:5, 2:6, 6:3; **ნატალი დეში (საფ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:3, 4:1 ბრიანტის უარი; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 4:6, 7:6 (3), 7:6 (4); **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:3, 6:0; **კეისი დელაკუა (ავსტრა)**-ჟი იანი (ჩინ) 6:2, 6:2; **აშა როული (აშშ)**-აბიგეილ სპირსი (აშშ) 6:4, 6:3; **იაროსლავა შვედოვა (რუს)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 4:6, 6:4, 6:3; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:7 (9), 6:4, 7:6 (7); **სანია მირზა (ინდ)**-მარია კამერინი (იტა) 6:3, 6:3.

Barcelona KIA

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

I რაუნდი

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1)-რომინა ოპრანდი (იტა) 6:2, ოპრანდის უარი; **ემილი ლუა (საფ, 3)**-ტიმეა ბაშინსკი (შვეიც) 7:5, 6:3; **მეგან შონესი (აშშ, 6)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:3, 6:4; **ტატიანა მალეკი (გერ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 5:2 ბენეშოვას უარი.

13 ივნისი. ოთხშაბათი

HTB-პლუსი (უცხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
15:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:55 პირდაპირი ხაზი.
16:55 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მანჩესტერ იუნაიტედი-პანათინაიკოსი.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ისრაელი-ბელგია. ჰოლანდია (LIVE).
22:10 ლობერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჰოლანდია-პორტუგალია. ჰოლანდია (LIVE).
00:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 სპორტინფორმი.
10:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პოლონეთი.
13:10 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
13:40 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
14:30 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
16:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:45 სპორტის სახეები.
17:15 ფეხბურთი. ლობერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
19:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 სპორტინფორმი.
19:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი (LIVE).
23:00 სპორტინფორმი.
23:10 ხელბურთი.
23:25 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.
02:41 ფეხბურთი. ლობერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
04:26 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
06:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 მულტისპორტი.
11:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-პოლონეთი. ჩინეთი.
13:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". II ეტაპი. საფრანგეთი.
14:00 ფეხბურთი. სონი ანდერსონის ოუბილეასადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". II ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი (LIVE).
23:00 აფროსნობა.
23:05 მულტისპორტი.
23:10 ცხენოსნობა. სუპერლიგა. სტ. გალენი. შვეიცარია.
00:10 ცხენოსნობა. ფოკეების კლუბი.
00:15 მულტისპორტი.
00:20 გოლფი. ევროპის ტური. ავსტრიის ღია პირველობა. ვენა.
00:50 გოლფი-კლუბი.
00:55 აფროსნობა.
01:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
03:15 აფროსნობა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ჩინეთი-პოლონეთი. ჩინეთი.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. სონი ანდერსონის ოუბილეასადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესლინგი. იაპონური ლიგა.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

ეფესს ნაუმოსკი გაწვრნთის

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, თურქეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი - "ეფეს პილსენი", ამ სეზონის შემდეგ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. კლუბის ხელმძღვანელობამ ამ პოსტზე მაკედონიის ნაკრების ყოფილი წევრი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი - **პეტარ ნაუმოსკი** მიიწვია. თუ ეს გარიგება შედგა, მაშინ 38 წლის მაკედონიელი იმ კლუბში დაბრუნდება, სადაც თავის დროზე, შვიდი სეზონი აქვს გატარებული. *"დიდი სურვილი მაქვს, იმ კლუბს ჩავუდგე სათავეში, სადაც კარგ კალათბურთელად ჩამოვყალიბდი. სავსებით შესაძლებელია, აქ მწვრთნელის რანგშიც მივაღწიო წარმატებას",* - აცხადებს ნაუმოსკი.

რანიკო ოლიმპიას ტოვებს

სლოვენიის ჩემპიონმა - "ოლიმპიამ" საკუთარ ვებგვერდზე გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს ფინელი მცველი **ტეემუ რანიკო**. ქართველებისთვის კარგად ნაცნობი კალათბურთელი, ნლეულს ევროლიგის გათამაშებაზე საშუალოდ მატჩში 14.6 ქულასა და 3.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, სლოვენიის ჩემპიონატში კი, ანალოგიური მაჩვენებლები - 15.5 ქულასა და 4.3 პასს უტოლდებოდა.

იხვები ჟიგერის შენარჩუნებას აპირებენ

სტენლის თასის ახალი მფლობელის - "ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ამ ზაფხულს, კლუბის მთავარი პრიორიტეტი ძირითადი მეკარის - **ჯან-სებასტიან ჟიგერის** შენარჩუნება იქნება. *"დიახ, ჟიგი - ჩვენი პირველი პრიორიტეტია. ძალიან გვინდა, რომ ის ჩვენს გუნდში დარჩეს",* - ამბობს კლუბის გენერალური მენეჯერი - **ბრაიან ბურკი**. სავარაუდოდ, ჟიგერი მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმებასა და ნლიური ხელფასის სახით, 6 მილიონ დოლარს მოითხოვს.

"რა თქმა უნდა, გუნდში დარჩენა მინდა. ამის შესახებ მათ კარგად იციან. მაგრამ, ეს ბიზნესია და ახალი კონტრაქტი ორივე მხარეს უნდა აძლევდეს ხელს. მჯერა, რომ ყველაფერზე შევთანხმდებით", - ეს უკვე ჟიგერის სიტყვებია.

ფეხბურთი

შვედეთი

იუგორდენი-გიოგენორგი	2:1
კალმარი-ელფსბორგი	2:0

II დივიზიონი

ოერებრო-ფალკენბერგი	3:0

კალათბურთი

საბერძნეთი

ფლეი ოფი

არისი-პანიონისი	65:57

ესპანეთი

ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

გაუგრესი-ბარსელონა	79:95
რეალი-ხუენგუელი	65:61

ჩოგბურთი

ATP. აბალ

გასკე-**კიურეში**	6:7, 4:6
სანტორო-მუდი	6:3, 7:6
სტადლერი-ზვერევი	6:4, 7:6
ნიემინენი-ვლიეგენი	6:3, 6:1
ო. როხუსი-**პაველი**	3:6, 6:7
მაიერი-კოლმანი	7:6, 7:5
მელცერი-**დავიდენკო**	6:7, 6:4, 2:6
კოლშრაიბერი-სლუიტერი	7:6, 7:5
ნალბანდიანი-**ჟიკელი**	7:5, 2:6, 4:6

ATP. ლონდონი

გროსჟანი-ბერერი	6:4, 6:2
კენდრიკი-გულბისი	7:6, 7:6
როდიკი-შტეპანეკი	6:4, 6:4
ცონგა-პლესი	7:6, 6:0
დანჩევიჩი-როიტმანი	6:3, 6:7, 6:1
კარლოვიჩი-ფიში	6:3, 6:4
ტიპსარევიჩი-ვემიჩი	4:6, 6:3, 7:5
ჰენმანი-**ჩილიჩი**	6:7, 6:2, 4:6
დელიჩი-**სერა**	7:6, 4:6, 4:6
მონფილსი-ანდრეევი	6:3, 6:4
ლუბიჩიჩი-უდომჩოკე	6:3, 6:4

WTA. ბარსელონა

კნაპი-**კანეპი**	2:6, 6:7
პენეტა-მარტინეს გრანადოსი	6:2, 6:3
პინი-ტოშიკი	6:1, 6:1
სალერნი-ძეპალევიჩი	6:3, 7:5
კასტანიო-**ჩინკი**	2:6, 3:6
პოუს ტიო-კლოზელი	6:3, 7:6
რაზანო-შრუფი	7:6, 3:6, 6:0
შავაი-პუჩეკი	6:3, 7:5
მიულერი-**კუდრიავცევა**	3:6, 4:6
პასკუალი-**გალოვიტცი**	6:4, 3:6, 4:6

WTA. ბირმინგემი

ბალტაჩა-**სეკერა**	4:6, 6:1, 5:7
კინგი-შულტცი	7:6, 7:6
კრეიბასი-**მორიტა**	4:6, 1:6
კევედეი-ბარდინა	6:2, 6:1
ჯექსონი-**ჩანი**	3:6, 1:6
მოლიკი-ბრემონი	4:6, 6:3, 6:4
პაშეკი-კეოტავონგი	2:6, 6:2, 6:4
პუჩკოვა-**კერბერი**	0:6, 0:6
დანილიდუ-დელაკუა	6:4, 6:4.
კირილენკო-დეში	5:7, 6:2, 6:0
ლი-შვედოვა	4:6, 6:2, 6:0
ლიხოვცევა-რადვანსკა	7:5, 7:6
ჰანტუხოვა-გოვორცოვა	6:2, 6:4

ჩოგბურთი

დავენპორტი დედა გახდა

ჩოგბურთიდან შარშან წასულ ამერიკელ ლინდსი დავენპორტის შვილი გაუჩნდა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, დავენპორტის ვაჟს **ჯეგერ ჯონათან ლიჩი** ჰქვია. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა კვირას იმშობიარა და ექიმების ინფორმაციით, დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ.

შეგახსენებთ, დავენპორტმა 2003 წლის აპრილში **ჯონათან ლიჩზე** იქორწინა.

კურნიკოვა წამყვანი გახდა

კანადის ჩოგბურთის ფედერაცია, ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის ყოფილ ჩოგბურთელს **ანა კურნიკოვას** გამოიყენებს. კერძოდ, რუსი მოთამაშე ჩოგბურთისადმი მიძღვნილ ონლაინ-გადაცემას წაიყვანს, რომლის სახელწოდება იქნება - Topspin Radio.

"ეს მშვენიერი იდეაა, რომელიც კანადელ ჩოგბურთის მოყვარულებს დააინტერესებთ, - განაცხადა კანადის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მაიკლ დოუნიმ**. - *რადიოსადგურის ბადეში მსგავსი ყოველკვირეული პროგრამის განთავსება, კანადელთა მხრიდან ჩოგბურთისადმი ინტერესს გაზრდის".*

11 ივნისიდან მოყოლებული, გადაცემა ყოველ ორშაბათს გავა ეთერში.

ბორგს მგელმა უკბინა

უახლოეს დღეებში, დიდხნიანი პაუზის შემდეგ ბალახის კორტებს უნდა დაბრუნებოდა ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი **ბორნ ბორგი**. მაგრამ, ეს უკანასკნელი ლიეერპულის ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს, არადა, შვედი აქ გამოსასვლელად რამდენიმე თვე ემზადებოდა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ბორგი იძულებულია ტურნირი იმის გამო გამოტოვოს, რომ მას ძაღლმა უკბინა. ინცინდენტი შვედეთში, ჩოგბურთელის სახლში მოხდა. ბორგი ცდილობდა, თავისი მაძებარი ძაღლი - **ლიპტონი** გერმანული ნაგაზისთვის (სახელად Wolf - "მგელი") მოერიდებინა. "მგელი" ბორგის მეზობლის ძაღლია და ისინი ჩოგბურთელთან სტუმრად იყვნენ მისულნი. საბოლოოდ, ნაგაზმა ჩოგბურთელს მარჯვენა ხელზე უკბინა.

უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი სასწრაფოდ გადაიყვანეს სტოკჰოლმის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა. ექიმებმა ბორგს ექვსი კვირით აუკრძალეს ჩოგბურთის თამაში. ლიეერპულის ტურნირზე 50 ნლის შვედს ჰოლანდიელი **რიხარდ კრაიჩეკი** შეცვლის.

ქალათბურთი

სტერნი სიეტლის მხარესაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარს **დევიდ სტერნს** იმედი აქვს, რომ "სიეტლ სუპერსონიქსი" მომავალი სეზონისთვის თავის ადგილსამყოფელს არ შეიცვლის და სიეტლში დარჩება. *"მჯერა, რომ "სონიქსის" მფლობელი - კლაი ბენეტი იპოვნის გუნდის ქალაქში შესანარჩუნებელ საშუალებას",* - ამბობს სტერნი.

შეგახსენებთ, **ბენეტი** ცდილობს, კლუბისთვის ახალი არენის ასაშენებლად სიეტლის ადმინისტრაციისგან დახმარება მიიღოს. ახალი დარბაზი 280 მილიონად არის შეფასებული. თუ ქალაქის მთავრობა ამ წინადადებაზე უარს იტყვის, მაშინ ბენეტი კლუბის სხვა ქალაქში გადატანით იმუქრება.

მერიონი ბოსტონში?

საინტერესო ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ Boston Globe-ში. თურმე, "ფინიქს სანსის" ხელმძღვანელობა "ბოსტონ სელტიქსში" **შონ მერიონის** გაცვლის ვარიანტს განიხილავს. კლუბს ერთ-ერთ ლიდერთან განშორება სახელფასო ფონდის შესამცირებლად აქვს განზრახული.

საგარაუდოდ, "ფინიქსი" მერიონის სანაცვლოდ მძიმე ფორვარდ **ტეო რეტლიფსა** და მომავალ დრაფტზე კალათბურთელის არჩევის უფლებას მიიღებს.

დეტროიტი ბილაპსს არ გაუშვებს

"დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** კომენტარი გაუკეთა თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის - **ჩონსი ბილაპსის** განცხადებას, რომელშიც კალათბურთელი ამბობს, რომ შესაძლოა "დენვერ ნაგეტსში" გააგრძელოს კარიერა.

დუმარსის თქმით, "დეტროიტი" არ აპირებს თავის ძირითად გამთამაშებელთან გამოთხოვებას. კლუბი ბილაპსს 4-ნლიან კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის მიხედვითაც, კალათბურთელს ნელიწადში 13 მილიონი დოლარის ოდენობის ხელფასი ექნება.

"ჩონსის შენარჩუნება ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტია", - ამბობს დუმარსი.

ჯეი არ სმიტმა მეგობარი მოკლა

როგორც იცით, სამი დღის წინათ, ავტოკასტროფაში მოხვდა "დენვერ ნაგეტსის" მცველი **ჯეი არ სმიტი**. კალათბურთელი თავად მართავდა მანქანას, მის გვერდით კი, მისი მეგობარი იჯდა. ავარიის შემდეგ, მგზავრები ჰოსპიტალში გადაიყვანეს და ორი დღის შემდეგ, სმიტის თანამგზავრი - 21 ნლის **ანდრე ბელი** თავის ტრავმის გამო გარდაიცვალა.

რაც შეეხება კალათბურთელს, სმიტი კლინიკაში რჩება და მის მდგომარეობას ექიმები "სტაბილურად" აფასებენ.

არენასს ვაშინგტონი არ უნდა

"ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერის **გილბერტ არენასის** აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტი არ აპირებს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას. მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2009 ნელს გასდის.

თავად არენასის თქმით, ის თავის მომავალს 2007-08 ნლების სეზონის შემდეგ გაარკვევს. შეგახსენებთ, რომ ამ მცველმა "ვაშინგტონთან" 6-ნლიანი კონტრაქტი 2003 ნელს გააფორმა, რომლის მიხედვითაც მან ჯამში 65 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

კობი ბრაიანტი ყველაზე პოპულარულია

NBA-ის ნლევანდელ სეზონში, გულშემატკივრებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით "ლეიკერსის" ლიდერის **კობი ბრაიანტის** მაისურა სარგებლობდა. რეალიზაციის მხრივ, მან უკან ჩამოიტოვა "მაიამის" მცველის **დუეინ უეიდის** სათამაშო ფორმა. ეს უკანასკნელი, 2005 ნლის მაისიდან მოყოლებული ხელიდან არ უშვებდა ლიდერობას.

მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა ნლევანდელი ფინალური სერიის მონაწილე - **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), ხოლო "სან ანტონიოს" ლიდერი **ტიმ დანკანის** მე-15 ადგილზე იმყოფება.

საკლუბო ატრიბუტიკის რეალიზაციის მიხედვით, კვლავინდებურად ყველაზე პოპულარული გუნდია "ლეიკერსი" - ის უკვე ხუთი სეზონია არავის უთმობს პირველობას. მეორე და მესამე ადგილებს "მაიამი ჰიტი" და "ნიუ იორკ ნიქსი" იკავებენ.



კუბიცას ბოლიდი ავარიის შემდეგ

ფორმულა 1

კუბიცა ჰოსპიტალიდან გამოწერეს

როგორც იცით, კვირას გამართულ კანადის გრან-პრიზე კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. 27-ე წრეზე, "BMW-ზაუბერის" პოლონელი პილოტის - **რობერტ კუბიცას** ბოლიდი დიდი სისწრაფით ბეტონის კედელს შეეჯახა და ჰაერში ორჯერ ამოტრიალდა. კუბიცა სასწრაფოდ მონრეალის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც საბედნიეროდ გაირკვა, რომ ავტომრბოლს სერიოზული დაზიანებები არ აღმოაჩნდა.

გუშინ, ამ ინციდენტთან დაკავშირებით, "ზაუბერის" ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა: *"კანადის გრან-პრზე მომხდარი ავარიის შემდეგ, რობერტ კუბიცა Sacre-Couer-ის ჰოსპიტალში, ინტენსიური თერაპიის პალატაში გადაიყვანეს, მას ექიმმა - რონალდ დენისმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ კუბიცას სიცოცხლისთვის საშიში ტრავმები არ აღენიშნება - მას ტვინის მსუბუქი შერყევა და ფეხის დაჟეჟილობა აქვს".*

კუბიცა უკვე გამონერეს საავადმყოფოდან. პოლონელი ჟურნალისტებს გაესაუბრა და მათ განუცხადა, რომ ინდიანაპოლისში ჩავა, სადაც კვირას გასამართი ამერიკის გრან-პრისთვის მზადებას დაიწყებს.

"როგორც ხედავთ, კარგ ფორმაში ვიმყოფები. თავს კარგად ვგრძნობ და იმედი მაქვს, რომ კვირას, აშშ-ის გრან-პრიში მივიღებ მონაწილეობას. რაც შეეხება კანადის ეტაპზე მომხდარ ავარიას, ყველაფერი კარგად მახსოვს. ბედნიერი ვარ, რომ ის ინციდენტი სერიოზული ტარვმების გარეშე დასრულდა", - განაცხადა კუბიცამ.

მართალია, პოლონელი იმედიანად არის განწყობილი, მაგრამ მისი ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა. ინდიანაპოლისში კუბიცას კიდევ ერთ სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი - შეძლებს თუ არა კვირას ტრასაზე გასვლას. თუ მას ექიმებმა უარი უთხრეს, მაშინ ამერიკის გრან-პრიზე პოლონელ პილოტს სებასტიან ფეტელი შეცვლის.

პრეფონტენის კლასიკური

ვარსკვლავური სპრინტი კარტერის სასარგებლოდ

შტატ ორეგონის ქალაქ იუჯინში, "ჰეიუორდ ფილდის" არენაზე, სადაც აშშ-ის ოლიმპიელ მძლეოსანთა შესარჩევი ტურნირები ტარდება ხოლმე, ტრადიციული პრეფონტენის კლასიკური ჩატარდა, სადაც მსოფლიოს არაერთი წამყვანი მძლეოსანი მონაწილეობდა.

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია 200 მეტრზე სპრინტმა, რომელზეც, ამ დისტანციის სპეციალისტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს იამაიკელმა რეკორდსმენმა **ასაფა პაუელმა** და 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა**.

რა თქმა უნდა, მათგან არანაირი სიურპრიზი მოსალოდნელი არ იყო. არც მომხდარა. ფინიშთან პირველმა ამერიკელმა **ქსავიე კარტერმა** მიირბინა (20.23 წამში), ვინც მხოლოდ ორი მეასედი წამით აჯობა თანამემამულე **უოლეს სპირმონს**. პაუელი, ვინც თავიდან ლიდერობდა კიდეც, დისტანციის მეორე ნაწილში დაიღალა და საბოლოოდ, 20.55 წამით ასპარეზობა მესამე ადგილზე დაასრულა, უორინერი კი 20.78 წამით მეექვსე იყო. აღსანიშნავია, რომ მორბენლებს საკმაოდ ძლიერი (4 კმ/სთ) ზუგქარი ეხმარებოდა. 20.58 წამით მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა 200 მეტრზე სპრინტში ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **შონ კროუფორდი**.

პრეფონტენის ტურნირზე სეზონის სამი საუკეთესო შედეგიც დაფიქსირდა. მათგან ერთი 800 მეტრზე მორბენალ მოზამბიკელ **მარია მუტოლას** ეკუთვნის, ვინც პრეფონტენის ტურნირი ზედიზედ მე-15-ედ მოიგო. მან დისტანცია წუთსა და 58.33 წამში გაირბინა.

სეზონის წინა საუკეთესო შედეგიც მუტოლას ეკუთვნოდა. ამჯერად, ასპარეზობის დასაწყისში, მოზამბიკელი ვეტერანი მეტოქეებმა იზოლაციაში მოაქციეს და ისე ჩანდა, რომ მუტოლა ამჯერად ხელმოცარული უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ვირაჟზე მან თავი დააღწია ცოცხალ ხაფანგს და ფინიშთანაც პირველი მივიდა.

ნაფინიშევს, მუტოლამ განაცხადა, რომ მერმისაც აპირებს პრეფონტენის ტურნირზე გამოსვლას. მისთვის ეს ბოლო სეზონი იქნება სპორტში - პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობის შემდეგ, სახელოვანი მორბენალი სპორტული კარიერის დასრულებას აპირებს.



მარცხნიდან: სპირმონი, კროუფორდი, კარტერი და პაუელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეფაკიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 ნლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 ნლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 ნლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 ნელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 ნლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
ბარლა ქვირისა